


ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველო






I ვიშ რა საჩუქრებია, რა საჩუქრებია! სურათი	59
II ტასოს! (ჯეჯილის ოცი წლის ბამო) გ. ქუნიშვილის	60
III არწივი და ფუტკარი თარგმანი შურასი	61
IV ნიანგის დარაჯი (თარგმანი) ტასოსი	63
V ღღესასწაულზე! დ. თურდოსშირედისა	71
VI საფლავის კირამდის მოგონება ან. წერეთლისა	75
VII ზარმაცი ანდრია ზღაპარი ალ. მანაბუღასა	80
VIII მებრე ლექსი გ. ქუნიშვილისა	82
IX თუთიყუში (ზღაპარი) თარგმანი ან. წერეთლისა	90
X ვაზაფხულის პირი ლექსი დ. თურდოსშირედისა	91
XI საწყალი ნონია, მოთხრობა ეკ. გაბაშვილისა (ვა- გრძელება.)	96
XII მიწის გულში მოთხრობა კუპრინისა (დასასრული) თარგ. ეკ. შესხისა	103
XIII საუბარი მეცნიერებიდან ივ. გამათელისა	109
XV ფული (დასასრული) ან. წერეთლისა	112
XVI გამოსადეგი ცოდნა მელიების შესახებ	9
XVI საქართველოს ისტორია შედგენილი ს. გარგა- ძესგან (ძველი საქართველოს რუკა)	

მიიღება ხელის მოწერა

1910 წლის

„**ქ ე ქ ი ლ ზ ე**“



საქმანვილო ნახატებიანი
ქურნალი

იზარდე მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. დ.

თებერვალი, 1910

◆ წელიწადი მეოცდაერთე ◆

თ ფ ი ლ ი ს ი
ელექტრომბეჭდავი აზხ. "შრომა", რუსსკაია ქუჩა, № 3.
1910



ვიშ, რა საჩუქრები, რა საჩუქრები!



ნაბამადარო! ვით დედას,
მოგესალმებით შვილები;
უსაზღვრო ჰატვიისცემით
კრძალვით ძირს თავ-დახრდილები:



ოცი წლის განძავლობაში
გრძნობით აღსავსე გულითა,
თავს ევლებოდნი ნორჩ-ბავშვებს
მშობლიურ სიყვარულითა



და დღეს კი, აჰა ივინი,
ბრწვინვალე ნეტარებითა;
დღესასწაულსა გილოცვენ
უმწიკვლო ევაფილებითა!



სულ-მნათო! რის თქმაც ახლა მსურს
ვერ გამოუთქვამს ენასა;
გულით კი, თქვენს დღეგრძელობას
შევედრი ზესთა ზენასა!



მაშ, ვაშა თქვენს ღვაწლს, ჭირ-ნახულს,
უკვდავს, საშვილი-შვილოსა;
და არსებობა ხანგრძლივი
თქვენს „ჯეჯილს“ საემაწვილოსა!!...

დ. ქუჩიშვილი.

არწივი და ფუტკარი.



ენ ბედს ვერაზინ შენატრის, უთსრა ერთხელ
 არწივმა ფუტკარს—ძთელი სიცოცხლე სულ
 მუშაობ და აბა თუ ვინმე გიცნობს! ეს იმიტომ სდებ-
 ბა, რიკ ვეკლანი ერთად, ძთელი გუნდა დუხუკვით
 ერთ ფიჭას, ერთად მუშაობთ და ვინ გამოიცნობს, რო-
 ძელია შენი ნამუშაუარი!

— ძერე რა სარწირობა რომ გამოიცნონ? უბასუსა
 ფუტკარმა.—რა ვუეთ რომ არ ძიცნობენ. სომ იცი-
 ან თაფლი რა არის. ეკელას უკვართ თაფლი და ძე
 ძით ვარ ბედნიერი, რომ იმ თაფლის ერთი წვეთი
 ძინც ჩემი გაკეთებულია.

— აბა, შუადარე ასლა ჩემი ბედი შენსას, უთსრა
 არწივმა,—გამოვინდები თუ არა ცის კამარასე, თვალს
 არ ძაძორებენ, დედაძიწასე სომ ეკელა თრთის ჩემი
 შიძით: შიძალულნი ზირუტეკები გამოიჭვრიტებიან.
 ძეცხვარესაც-კი მოუსვენრობით ძილი დაეკარგება. აი
 როგორ ძიცნობს ეკელა—დიდი და ჰატარა.

— გიცნობენ სოლო იმიტომ, რომ ეძინიანთ
 შენი, უბასუსა აძასე ფუტკარმა.

შურა.





ნიანგის დარაჯი



ნიანგები რომ ზღვის ჰირსს, ქვიშაზე, ამოვლენ მზეზე გასათობათ და დასამინებლათ, მათ დაესვევიან შაშვის ოდენა ჰატარა ჩიტები.

ეს ჩიტები თამამად დასტიან ნიანგის ზურგზე, გვერდებთ სვებზე დასტიანო, მწერებს და

წურბელებს. ნიანგს აცლიან ზურგიდან. მათი სითამამე იქამდის მიდის, რომ ჰირსი უძრებიან, კბილებს და ღრძილებს უწმენდენ და აცლიან ღრძილებში ჩარჩენილ მწერებს.



ეს ძალიან ესამოუნება ნიანგს და თვითონაც შველის ჩიტებს, ალებს დი-



დათ ჰირს, რომ გაუადვილოს ჩიტს ჰირში შესვლა-
 გამოსვლა.

თუ ნიანგს საშიში რამე მოეღის ძილის დროს
 ჩიტი თავისი ძეუწერებელი უვირილით ნიანგს აღვი-
 ძებს და ისიც სწრაფად იძალეება წყალში.

ასეთი მჭიდრო მეგობრობაა ამ უძველესელ და გაუ-
 მადლარ ცხოველთა და ჰატარა ჩიტის შორის. ამიტომ
 ამ ჩიტს ეძახიან ნიანგის დარაჯს.

(თარგმანი)

ტასო.



დღესასწაულზე

(გუძენი ანატასია წერეთლისს)



ვლახრელი ჰატარა ილო საში-
ნელ მოუსვენრობას განიცდიდა.
ჯერ ერთი კვირაა, რაც მუხობ-
ლად მდგომმა მასწავლებელმა
ქაღმა, რომელიც მუდამ თანა-
გრძნობით ეკიდებოდა ობოლ
ილოს და შეძლების და გვარად
უწევდა დანძარებას, გამოუცხადა,
რომ კვირას თეატრში წაგიუვანო.

მოსაწევენ ერთფეროვან ცხოვრე-
ბას შეჩვეული ილო მოუთმენლათ ელოდა ამ ნეტარ
დღეს.

— ნეტავი რა არის თეატრი, რას აჩვენებენ იქ
ხალსსა? არა ერთსეულ ეკითხებოდა ილო თავის თავს
და ჰასუსი ვერ მიეცა. თავის ტოლებსაც მიძართა ასა-
ხსნელად, მაგრამ მათგან ვერაფერი მოიგო.

— ბიჭოს! როგორ არ იცი თეატრი რა არის,
ცოტაჯერ შემოუტანიათ თქვენ ესოში ზრდნიან კინ-
ტოებს ფარდნიანი „ბუფა“. აი ჰეტრუშკას რომ აჭყვი-
რებენ ხოლმე. უთხრა ერთმა ამხანაგთაგანმა და თან
ამაუად გადასედა დანარჩენ მსმენელებს, თითქოს და-
ცინვით ეუბნებოდა: „განა თქვენსავით მოუფიქრებელი



და მიუსუდრელი ვარ, რომ არ ვიცოდე თუ რა არის თეატრიო?“

— რას ბოდავ, ბიჭო, ტრიატრი ეკ კი არ არის, ტრიატრი აი ალია თათარს რომ ეუთით გველები დაჭევეს ის არის, განა ჯერ არ გინახავს, როცა შეულოცავს გველებს როგორ თავის ნებაზე ათამაშებს. ეტუოდა მეორე და ერთი ორზედ გაიბერებოდა, რომ ამხანაგის სიტყვები გააბათილა თავისი ჭეშმარიტი განმარტებით.

— ეგრე რამ გამოგახერხებთ, თქვე ეურუმსაღებო, თქვენა, — შეერეოდა დავაში მესამე. — ვარანცოვის სიდთან ჯერ არ შეგიძინევათ ცირკი, რომელზედაც სასე მოთხუნული, წითელ-უვითელი ტანისამოსიანი „კლოუნები“ (მასხარები) რომ გადმოდგებიან ზრანჭვა-გრესით და ხარის წკარუნით ხალხს მოუწოდებნო, „ეტუოდა მესამე იმ სახის გამოქეტველობით და იმ კილოთი, თითქოს ესლა აღზრავის შექმნა ეჭვი სიმართლეშიო.

კიდევ ბევრი ამისთანა ესმოდა ილოს და ცნობის მოეპარება უფრო და უფრო უძლიერდებოდა: ის დღეებს სთულიდა, აბა როდის დადგება კვირაო, თუცა საათი წელიწადათ ეჩვენებოდა, მაგრამ როგორც იყო მანც გაატარა ეს დრო.

აი კვირა დღეც დადგა, მსწრაფლ მიიბრინა ნაცნობ მასწავლებელ ქალთან და ორივე ერთად გაეშურნენ თეატრისკენ.

რამდენიმე სხის შეძვეც იხინი შევიდენ ხალხით გაჭედელ ქარვასლის ეზოში. მათ წინ აღიმართა თერთრათ შელესილი, სხვა და სხვა სურათებით დამძვენებული ქართული თეატრის შენობა. მასწავლებელმა ქალმა ჩაჰკიდა სელი ილოს, შეიყვანა თეატრის დარბაზში და ისე მოათავსა ბივანზე, რომ ილოს არა გაუგია რა. მას დაჭეუტილი თვალები მიეპერო აჭრელებულ ხალხისთვის და უაზროდ ახამხამებდა. აურიცხველ წვრილ-ფეხობის ჩივილ-ხივილისაგან სომ უური გამოეჭედა და ზუილი დაუწყო ილო კიდევ დიდხანს იქნებოდა ამ მდგომარეობაში, რომ მასწავლებელი ქალი არ გამოლახარაკებოდა:

— ჩემო ზატარავ, სომ ჰხედავ ამოდენა ბავშებს, ესენი იმიტომ არიან აქ დღეს შეურილნი, რომ ზატოვი სცენ და მადლობა გადაუსადონ იმ ადამიანს, რომელიც ოცი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ქურხალ „ჯეჯილს“ რომელშიაც სწერდა თუ როგორ უნდა აღიზარდოს ადამიანი, როგორი კაცი გამოვიდეს, რანაირად უნდა შეიყვაროს თავისი დედა-ენა და სამშობლო, როგორ უნდა ეველამ განვიკითხოთ ობლები და ღარიბები. „ჯეჯილს“ ეველანი სიამოვნებით კითხულობენ და სტკებებიან მივ მოთავსებულ ნაწერებით. ახლა თითონ ზატარა ბავშები წარმოადგენენ კომედიას, რომელიც ჯეჯილში იყო დაბეჭდილი. თითონ ბავშვები ეცდებიან ცოცხალი თამაშით სული ჩაუდგან იმას, ვინაც ჯეჯილის სულის ჩამდგმელი



ავვიწერდა და გვინატყვდა თავის მადლიან კალმით.

მიუსვდებოდა იმისა, რომ ილო მთელის უურად-
 ღებით უსძენდა სასე გაბრწეინებულ ქალის ლაპარაკს,
 მანც ვერაფერს მისვედრილიყო: „უურნალი“ „პიე-
 სა“ „საბავშო მოთხრობები“ ეველებ ეს უცხო და უც-
 ნობი იყო მისთვის. მისი „ჯეჯილი“ გამტვრინებუ-
 ლი ქუჩა იყო, საცა დიდიდან საღამომდის უხატრო-
 ნოთ დახეტიალობდა.

— „არა, სწორეთ დაუჯერებელია, ფიქრობდა
 ილო, — ბავშვებმა განა ისეთი რა უნდა ითამაშონ,
 რომ ჩვენ ჰეტუას აჯობონ? თუნდა კოჭაობაში, თუნდა
 უურთა გლეჯაობაში, თუნდა წინლაობაში და თუნდა
 შაირობაშიო. ძერე რა გულადია! უნდა გაუურებინათ
 რა რიგათ შეეძება და ელაზღანდრება ხოლმე გამ-
 ვლელ-გამომვლელსა. ერთს ტეუილ უბრალოთ გამო-
 ლანძღავს, მეორეს ქაღალდში ქვას გამოუხვევს და ეა-
 სიდათ წინ დაუგდებს და მოატეუებს და სხვა...“

თეატრის დარბაზი თან და თან ხალხით იმსებო-
 და. ათასი ჰატარა ცქრილა თვალები მისხერებოდენ
 სცენის წინ აღმართულ ფარდას და ტამის ცეპით აჩ-
 ქარებდენ წარმოდგენის დაწეობას. ხარმა გაიწვრილა
 და ფარდა ნელ-ნელა აიწია. მთელ დარბაზში სამარ-
 სებრივი სიჩუქე ჩამოვარდა. სცენაზე იუვენ ორი ჰა-
 ტარა ქალი და რაღაცას ცელქობდენ. ამ დროს შე-
 დის დედა და უჯავრდება, სტუქსავს, მაგრამ ამაში მხო-
 ლოთ უსაზღვრო სიუვარული გამოჩევივის შვილებ-



სადმი. მერე ოთახში შემოირბენენ ბავშვების ჰატარა ამხანაგები და აღტაცებით მიესალმებიან ერთმანერთს, თამაშობენ, იცინიან და სტუნაობენ. მათ სასწესე აღიბეჭდება კმაყოფილება და სიხარული.

ილო ნება-უნებლიეთ აღარებს ამ სურათს თავის სახლს, სადაც აღარ გაისმის საუკარელი დედის ტკბილი და აღერსიანი ხმა. მარტო თავგების სანაჯაროდ გამხდარა მათი ბინა. მხოლოთ შუაღამისას დაბრუნდება ღვინით გაღუძილი მამა და მოჭუკება ევირილს. ამხანაგები? განა მათგან ერთხელაც არის მოაგონდება ნამდვილი გულ-წრფელი მეგობრობა და სიუვარული? ისინი ხომ მუდამ ცდაში არიან, რომ გული მოუკლან ბოროტი სიტუებით, დასტეუონ, ან ანაწანონ თუ რაჲე მოეპოვება და ხშირათ მიბეგეონ კიდევ.

ილო რომ ამ ფიქრებში იყო, ჰირველი მოქმედება გათავდა კიდევ. მცირე დასვენების შემდეგ მეორეთ აიხადა ფარდა. ვიშ ნეტარებაჲ! ილოს თვალწინ წარმოუდგა მშვენიერი ახურმუსტებულ სეებით დაბურული, უღრანი ტეე. მას ამ გვარი არა ენახა თავის დეჲში! ის მთლათ მოიხიბლა, მოჯადოვდა. შორიდან გამოჩნდა კორდიდან გადმომსკდარნი მთის ნაკადული, რომელიც სწეკაღლის გამჭვირვალნი მსეფებით უსვაღ ეფინებოდა საკინს გადასსნილ ნიავისაკან ქოჩორ გადავარცხნილ მოლს. წყალ მოწურებული ჰატარა ბატკანი ეულ მოღერებით გადმოძვარა ნაკადის რუს კი-



დესე და ნასათ ეწაფება... უცბათ, საიდანძაც გამო-
 ჩნდება მსუნაგი ძკელი და უძანკო ცხვარს აუტესს
 აურსაურს და დავას.

— აი შე ბრიუკო შენა, ძაკ უწმინდურ ტუჩით
 როგორა სვამ წუალსა და მიძღვრეკო!

ამოდ უძტკიცებს ბატკანი თავის ალალ ძართ-
 ლობას—ძკელი უძას-უსებს, „შენი ჩაკვნიტა რაკი ძნე-
 ბავს მიწესად ისიც საკძარისიაო და ტუისკენ გააქა-
 ნებს საბრლო ბატკანს.

ილო აღტაცებას გრძობდა, გაოცებული იყო. ისე
 ძონიბლა ბავშვების სელოვნურმა თამაშმა, რომ სმა
 ძაღლა წამოიძახა:

„ღმერთო ჩემო, ნუ თუ ეკ მოთამაშენი ძართლა
 ჩემოდენანი არიან? ნუ თუ შესაძლებელია ძაკისთანა
 ჰატარებს შესწვდეთ ისეთი უნარი, რომ ასე თამაშო-
 ბენ?

გაიარა კიდევ ჰატარა დრომ და ახლა გამოჩნდენ
 სულ სსვა ბავშვები. ზოგმა იძთგანმა ფორტოძიანსე
 დაუკრა, ზოგმა სკრიპკასე. ორმოცამდე ჰატარა ქალე-
 ბმა ძშვენიერი სიმღერები იძღერეს, ითამაშეს და კვლავ
 ფარდა დაეშვა.

ბოლოს სცენასე გამოჩნდა ის, რომლის სასელ-
 საც აუარებელი ბავშვები წამ და უწუმ იმეორებდენ.
 ის „ჯეჯილის“ მოსასრდოებელი იყო, ძთლად გაჭა-
 ღარებული და სასე ნაოჭ-ნაკვეთებთ დაღარული ძო-
 წიწებით ჩამოსვეს სკამსე და დავიწო ძილოცვა. ევე-



ღანი მადლობას სწირავდენ დაუღალავ მუშაობისთვის. თან სელსე ამბორით და ცოცხალ ევაზილებით უძკობდენ კალთებს.

უცებ მთელ დარბაზში მყოფნი რაღაც განსაკუთრებულ ეერადლებამ მიიპყრო. სამი ჰატარა ქალი ცოცხალ სურნელოვან ევაზილების გვირგვინით სელში წარსდგა მის წინაშე და შემდეგი სიტყვებით მიძართა: „საუვარელო დეიდა ტასო!“ ჩვენ გილოცავთ ოცი წლის შენი ძვირფასი „ჯეჯილის“ არსებობას. გისურვებთ შემდეგშია ც მრავალი წლის განმავლობაში მოგწოდოს ჩვენისთანა ჰატარებისთვის ცოდნა. შენ მოსუცდები, ძვირფასო დეიდა ტასო, ჩვენ გავიზრდებით შენს მაგალითს მივბაძავთ, შენებრ ვიძროძებთ, შენს ნორჩს „ჯეჯილს“ გავზრდით—უნათ გავინდით...

გაათავა თუ არა სიტყვა ჰატარა ანგელოზმა მთელ დარბაზში გაიძა ალტაცებული ტაშის ცემა. ბავშვების უზომოთ მოუვარულმა თვალებზე ნეტარების ცრემლ მორეულმა ანასტასიამ გულში ჩაიკრა სამივე ბავში და გადაჭკოცნა.

ამ სანახავით ილოს გული მთლათ დაეთუთქა, მას აქ ნათლათ წარმოუდგა თავისი ობლობა, უძწეობა, უვიცობა და უცოდინარობა. მას არ ჰევადა დედა, რომელიც ალერსით შესწავლიდა წიგნსა და გულში გაუღვიძებდა კეთილ აზრებს. ესლაც სხლში დაბრუნდებოდა დვინისაგან გაბრუებული, გალექილი მამა, რომელიც მაგრად წამოუთაქებდა მუშტებს თავ-



ში. გაახსენდა ეველა ეს და ცხარე ცრემლებით
 სო ნაღვლიანი თვალები... ქვითინი ძორთო... დარ-
 ბაში კი გაცხარებული ტაშის ცემა ისმოდა. ბავშთა
 გუნდი საუფარეო აღშრდელს მრავალ ჟამიერს უძღე-
 როდა.

დ. თურდოსპირელი.



საფლავის კარამდის



მოზონება

ე ჯერ ჰატარებ ვიუავ, რომ ჩემ-
 ძა დედ-მამამ დაიქირავეს ვერაზე
 ოთახები. ეს სახლი ძალიან დი-
 დი იყო და შიგ აუარებელი ხალხი
 ცხოვრობდა, უფრო ხელ მოკლე
 ხალხი. საუკეთესო ოთახები ჩვენ
 ვიქირავეთ. ბარგი რომ გადაჭკონდათ მე სხვებსე უფრო
 ადრე მიველ და უსაქმობით ვათვალიერებდი ესოს.
 ერთი ჭუჭუიანი, ბანჯღელიანი ჰატარებ ძალიან ძევაძ-
 ჩნიე, სარდაფის ფანჯარასთან ჩაცუცქულიყო და ევე-
 ლა ჩვენ მოძრობას დაბეჯითებით თვალს ადევნებდა.

ორჯელ-სამჯერ დავუძახე, კუდი აათამაშა, მაგრამ
 მოკარებით კი არ მომეკარა. მას აქეთ თითქმის ეოველ
 დღე ვხედავდი ამ ცუკას. დავბრუნდებოდი თუ არა სა-
 სწავლებლიდან — ქუჩაშივე დამიხვდებოდა, გამომაცო-
 ლებდა აივნამდის და მერე კი ვეღარ მოვიკარებდი. ის
 არ შორდებოდა სარდაფის ფანჯარას, ისე რომ ჩემდა
 უნებურათ გავიფიქრე — უნათუოდ იმ ფანჯარას უდა-
 რაჯებს მეთქი.

სადილს რომ გავატავებდით, სძირათ გამოვუტან-
 დი ძვლებს და სხვა ნასუფრალს და გადუფრიდი. ის



მაღლობით, მაგრამ სანატრად აიღებდა ნაბობაძეს და თავის ფანჯარასთან მიცუცქედებოდა.



ცნობის მოყვარეობამ და მძლია და ერთხელ, როდესაც სასწავლებლიდან დაბრუნდი და ცუცამ მხოლოდ მომაცლია კარებამდის და ისევ გაბრუნდა თავის ჩვეულ ადგილას — შე მივედი ფანჯარასთან, შერე ჩავედი ოთახშია. სიბნელე იყო და უსათუოდ მაშინვე გამოვბრუნდებოდი, რომ არ შემომსძენოდა ხმა:

— კეთილი იყოს, შვილო, შენი აქ შემოსულა!

დავაცქერდი და ქვეშაგებში ერთი მუშტის ოდენა მოხუცი დავინახე. ცუცა სისარულით აღარ იყო მე რომ ოთახში შესული დამინახა და ზედ მასტებოდა.

— აგრე მარტო ხარ, დიდი — დედავ! ვკითხე მე და იქვე ტანტზე ჩამოვჯექი.

— არა, შვილო, ჩემი შვილია შვილი დარო მთელი დღე სამკერვალოშია და დამე გვიან მოდის და დილით ადრე მიდის. ის არის ჩემი ძარჩენელი.

— შერე სადილი? ვინ გაძღვეს?

— დღოცვილო, რა სადილები მინდა! დილით მაჭმევს, შვილო.

ამ დროს გაიღო კარი. ერთმა მოხუცებულმა ჯამით ლობიო შემოუტანა.

მე მაშინვე კარეთ გამოვარდი, ჩვეული არ ვიყავ

ამისთანა ჰერში ეოფნისა და სული მიკუბდებოდა. მეორე დღეს, ჩვენ სადილობის დროს, დედან მოვეხვე კისერზე და ვეკლავური ვუძამე. თან ვთხოვდი — ერთი კერძი საჭმელი მოეცა ხოლმე ჩემთვის მოსუცე-ბულისთვის მისაწოდებლათ.

მართლაც რამდენიმე დღე თავი დავუდე და მიქონდა მოსუცისთვის საჭმელი. ცუგა აღტაცებით მეკებებოდა და ძაცილებდა.

მაგრამ მე ძალე მიძავიწედა ეს მოსუცი. ცუგ ამ მიცხდა რამდენიმე დღე და მერე, როცა ჩვენი ჰერის ჭამის დრო დადგებოდა და ვეკლანი თავს მოვიური-დით ჰურის საჭმელ ოთანში, რომლის ფანჯრები აივანზე გამიდოდა, ცუგ ამოხტებოდა ფანჯარასე, და გვირბკუნებდა და მაძინვე მოჰკურცხლავდა. ჩვენები ჯავრობდენ იმის სითამძით, მაგრამ კერძს მაინც მოსუცს უგზავნიდენ.

ცუგ ახლა უფრო შემეჩვია, ეოველ დღე მელოა და ქუჩაში და დამინახავდა თუ არა რომ სასწავლებ-ლიდან მოვდივარ, სტომით და ალერსით მიმიუვანდა ოთანამდის და შიგ შემოსვლას კი ვერა ბედავდა, რადგან ჩვენები ჰირს არ უჩვენებდენ.

ერთხელ ძამა ჩემი დაბრუნდა სამხანურიდან გაჯავრებული და გულმოსული. ის მეტათ ჩაფიქრებუ-ლი მოუჯდა სუფრას. ამ დროს უცბათ მოისმა ფან-ჯარასე ფხაჭუნი. ძამა ჩემი შემინდა, გააფთრებული წამოვარდა სუფრიდან, გავარდა გარეთ, აიტაცა ცუ-



გა და აივნადან გადისროლა. ცუგა მამის დასაწყისში დადგა, მამა ჩემს ერთი საუკედურით გადასედა და მოკურცხლა. ის იყო და ის, ცუგა აღარ მოკვარებია ჩვენ სახლს. მამა ჩემი ჩვენზე მეტათ შეწუხდა, ცდილობდა შეერიკებინა ძაღლი, უუვაუებდა, უაღერსებდა, მაგრამ ძაღლი ერთი ამაყათ გადასედავდა — და ისეუ მიიძალუბოდა.

მე კი თან და თან უფრო დამიასლოვდა. მეც ისე შევიუვარე და თითქმის ჰატვისაც ვცემდი, რომ აღარ მავიწედებოდა მოხუცისთვის კერძის მიწოდება.

ახლა რო მომაგონდება ცუგას საქციელი სწორედ გასაკვირველი იყო:

უქმე დღეებში, როცა დარო სახლში იყო, ცუგა მოხუცს აღარ აქცევდა უურადლებას და ქუჩის ძაღლებში უდარდელათ დროს ატარებდა.

საფსულში ჩვენ საბუარაკოთ ქალაქიდან გაკედით და როცა დავბრუნდით — აღარ დამისვდა არც ცუგა, და არც მოხუცი. მეეზოვემ მიამბო: „მოხუცებული სიკვდილის ზირას მიღვა, ცუგა არ შორდებოდა, მომაკვდავს, სელეებს ულოკავდა მეჩე, დარომ თავიანთ სოფლიდან ურემი დაიბარა და მომაკვდავი იქწაიუვანეს. ამ ცოტა ხანში დარო ჩამოვიდა, განაგრძო მეეზოვემ, ვკითხე მოხუცებულის ამბავი და ასე მითხრა: ბებია დაჰმარნე, ცუგა აღარ მეკარებოდა, სასაფლაოზე სულ მიწას სთხრიდა და სასაფლაოს დარაჯმა უბედური მოკვლა, ეძინოდა არ გაცოფიანდესო.“

„ზარმაცი ანდრია“

(ზღაპარი)



რთ სოფელში ცხოვრობდა ერთი ზარმაცი კაცი ანდრია. ჭეპვდა გაძრჯელი ცოლი, რომელიც მუშაობდა და იმითი თითონაც ცხოვრობდა და ქმარსაც აცხოვრებდა, თავის ხელით გამოკვდა იოლად ოჯახსი. ეს დედაკაცი ძრიელ ჭკვიანი და მოხერხებული ქალი იყო. სულ მუდამ ქმარს სიზარმაცეზე ეჩხუბებოდა, მაგრამ ამაოდ, ვერ ააღებინა ხელი სიზარმაცეზე და ვერა.

ცოლმა როგორც იყო გაიყოლა ეს ზარმაცი ქმარი მინდორში და ვაივაგლახით ერთი დღის უანა დაათესინა.

დათესვის დღიდან ცოლი ხან გაჯავრებით, ხან მუქარით, ხან კიდევ მასა-მასა საჭმელების დაპირებით თავის ზარმაც ქმარს უანაში გზაუნდა საყარაულოთ. წაუდიოდა ზარმაცი ანდრია ხელა ხელა, ზღაზნით, მთქნარებით, ზმორებით და როგორც იყო დაათვალიერებდა უანას. მშვენიერი ზირი უნდა უანას, სულ ზღვათა სკდებოდა. დაბრუნდებოდა სახლში ზარმაცი ანდრია დაღონებული.



— რამ დაუბღონა, კაცო? ეკითხებოდა ცოლი, ^{ეჩინოსულს} ~~ცოლი~~ მკვდარს და
შეგაწუსა აგრე, ეანა ხომ არაფერს წაუსდენია.

— აი ოხრათ დაგირჩეს ეანაცა და თავიცა! ის ოხერი სულ ზღვათ სკდება, მიწაში აღარ ეტევა, ისე გაკეთდა. ნეტა ჩემი მომცდარიყო და სსვას სწეოდებ ეკ ბედი! რა მომკის, ვინ მოწიდავს და ან ვინ გაღეწავს, ვინ მოუვლის ძაგ საოსროსა! ევედრებით ამბობდა ზარძეცი ანდრია.

ცოლს კი უხაროდა ენის გაკეთება.

მოიწია ეანამ, მკის დროც დადგა, ანდრია კი მომკას არა ფიქრობდა. ცოლი კაი დედლის დაკვლას დაჰპირდა, ოღონდ წადი და ცოტა-ცოტა მომკეო. — და სულ კაი-კაი სადილ-სამხარს და ვახშაშს მოგიმსადებო.

როგორც იყო ააღებინა დედაკაცმა ნამგალი და ვანსტუმრს ეანაში. ცოლმა თავის დროზე სადილი ჩაუტანა ეანაში. ქმარს ორი სელეული გამოეჭრა და კაკლის ჩრდილში მისულიყო დასასვენებლათ, კიდევ დასძინებოდა. მივიდა ცოლი, გააღვიძა, უსაევედურა — რატომ მეტი არ მომკეო, — მაგრამ ქმარმა უპასუხა:

— ოხრათ დაგირჩეს ეს ეანა, მე კი წელში გადავწედი ამ სელეულების გამოჭრაშიო.

ცოლმა აჰამა სადილი და წამოვიდა.

იფიქრა ცოლმა: უნდა რაღაც სერსი მოვიგონო რომ ეს ეანა, რომელშიაც ღვთის თვალი ტრიალებს, როგორმე მოვამკევინო ჩემ წელ-მოწვევტილს კაცს.



ადგა, იძოვნა კარგი ბელადი ცხენი თავის შეკმა-
ლობით, ჩაიცვა კაცური ტანისამოსი, შეისხა იარა-
ღი: სძალ-სანჯალი, თოფ-დამბახა და ხელში მათრახი
დაიჭირა. თავზე დიდი ფაფახი დაიხურა, შემოსტა მარ-
ჯვეთ ცხენსე და თავის უანისკენ გააჭენა. ამას ძა-
ლიან ვაჟკაცის იერი ჰქონდა. ცხენოსანმა ნახა რომ
ზარმაცი ანდრია მხარ-თემოზე წამოწოლილია. ამ დე-
დაკაცმა გააჭენ-გამოაჭენა ცხენი. ისე დააჭენებდა რომ
მიწას სულ ბღვირი ასდიოდა. ზარმაცი ანდრია გა-
კვირვებით შესცქეროდა. მხედარმა ძიადრუნა ცხენი
იძისკენ, გუქანა და კინაღამ ცხენს გაატანინა. ერთი
ორი მათრახიც გადაარტუბ ზარმაცსა და დასჭეივლა:
--დედა ჩემი ავით არის. წამლათ ზარმაცი კაცის გულ-
ღვიძლი მასწავლეს და ზარმაციც შენ უოფილხარო,
შენთან მომასწავლეს. გული უნდა გაგიწო და ამო-
ვიღო შენი გულ-ღვიძლი.

ზარმაცი მარდათ წამოხტა და ქუდ-მოგლეჯილმა
მოასსენა—არა, შენი ჭირიმე, მე ზარმაცი არ გახლა-
ვარ, აგერ უანასა ვძეიო.

— მამ შენ არა ხარ? სხვას მოვძებნი და თუ ვე-
რავინ ზარმაცი ვერ ვინოვე, მაშინ უკეჭველათ შენ მო-
გნახამო. თქვა ესა და გააჭენა ცხენი.

წამოხტა ანდრია, მიესია ამ უანას და ისე გამ-
გელეებული დაუწეო მკა, რომ გეგონებოდა ჰირველი
მოძკალიაო. საღამომდის სულ ძირს დასცა უნა. გა-
ათავა, გადიდო ნამგალი მხარზე და ზღაზნით გამო-
სწია სახლისაკენ.



— აი ოსრათ დაგირჩეს შენ ეანა, რომ მოვრჩე და მოვისვენო! დაუწყო ბუსღუნის დედაკაცს. — მე კი მოვკვდი, აღარ შემიძლიან და ეკ არის... ეანა კი სულ გავათავე, მაგრამ მე ასლა მკვდარი ვარ... და ჭაიშხლართა მიწაზე. თავი მოიმკვდარუნა.

ცოლი მიხვდა რომ მუშაობის ასაცდენათ თავს იშორებს. მესობლებს შეატყობინა: ქმარი მომიკვდაო.

მოიტანეს კუბო, შესუდრეს, ჩაასვენეს ანდრია შიკ. მოვიდნენ მოტირალნი. ერთმა დაატირა: ვაიმე მძაო ანდრია! ვაი შენი დედაკაცის ბრალიცა. რა იმედი მოეშალე — კაცი გამრჯელი და საქმის მოვეარული ასე უდროოდ გამოესალმე ამ წუთი სოფელს. შენი ბეჯითობის ჭირიშე. აიღებდი სუთ გირვანქიან ნამგაღს, მუეაითად, ღიღინით გასწევდი ეანაში, აქნევდი, აქნევდი საღამომდის ნამგაღს და ერთ სელეულსაც ვერ მოძიდი.

ასლა მეორე მესობელმა დაატირა:

„მომავინდება შენი ბეჯითი მუშაობა, აიღებდი ათ გირვანქიან ცულსა, წასვიდოდი ტუეში, მიადგებოდი ერთ უბრალო წიფლის სესა, დაუშენდი ცულსა, საღამომდის ოფლის ღვარი გდიოდა და ერთ ნაფორს ვერ ჩამოავდებინებდიო.“

ამკვარი ბევრი დაატირეს ანდრიას. წაასვენეს საუდარში. ცოლმა სთხოვა მღვდელს რომ ამაღამ საუდარში იეოსო და კარცი ცოტა ღია დასტოვეთო. მღვდელმა შეუსრულა თხოვნა. მკვდარი დაასვენეს.

შუა ღამემ მოატანა. ცოლმა გუდიცვა კაცური ტანი-
 ხამოსი აიღო დიდი ქვა, შევიდა საუდარში და კუბოს
 დაუშინა: ატედა საშინელი რასა-რუსი, თან დასძახა:

— ადექით ძველო და ახალო ძვედრებო, ზეცას
 ზურგით აგურიან საზიდი. რამდენჯერმე გაიძეორო და
 ხანქაროთ გამოხსნა სახლისკენ.

შეგხედოთ უკან ზარმაცი მოჭევა სირბილით.

— კაცო, რამ მოგიყვანა, თითქოს მოკვდიო!

— ოხრათ დარჩეს საიქიო, იქ უფრო ბევრი სა-
 მუშავო უოფილაო, ძველსაც და ახალ ძვედრებსა მო-
 სვენებს არ აძლევენ. ზეცაში ზურგით აგურს აზი-
 დვინებენ. და იქ რა გამაჩერებდაო.

ის იყო და ის ამ დღიდან ანდრია ბეჯითად იწ-
 ეო მუშაობა.

ალ მანაბელი.



მესრე.



ესრე ვარ .. მესრე ჰატარა,
არვინ მუავს ამა სოფლათო;
ადრე მომიკვდა დედ-მამა,
და დავრჩი ასე ობლათო!

რაც რომ დავშორდი მენვეულს,
ჩემს სახლ-კარს, მიმქრალ კერასო;
სსვის სამსას-ურში, ვარიბი,
ვწეველი შავ-ბედის წერასო!

ველ-მინდვრათ დავალ ტლუ ბიჭი,
დამიდის საქონელიო,
თან, გვერდით მომდევს ფინია,
მარადის განუერელიო!

მობილათა მუავს ლერწმისგან,
გათლილი სალაძურიო;
ხან სეგდა — წელულის ამძლედი,
ხან კი ტკბილ-სააძურიო!

ესაა ჩემი ნუგეში,
ამ დუხჭირ წუთისოფლათო;

და მასთან მთელი ბუნება,
საეუარველ ძუძუ მშობლათო!

ამას ამბობდა ობოლი,
ასე მოსთქვამდა, ჩიოდა;
ხან დაჰკვნიესოდა სალამურს,
ხან კი ცრემლები სდიოდა!

გ. ქუჩიშვილი.



თუთიყუში.

ზღაპარი



ს თუთიყუში იყო ლამაზი, ვერცხლისავით ბზინავი ფრთებით და ბამბის ქულასავით თუთრი გულით.

ის წინეთ ცხოვრობდა შორს, შორს ჩვენგან. იმ ქვეყანაში, სადა სამთარი არ იცის.

თუთიყუშს ჰევადა ცოლ-შვილი იმ ტყეში, რომელიც ზღვის ზირად იყო.

რამ მშვენიერი რამ იყო ის ტყე! რამ მშვენიერი იყო ის ზღვა!

მეტადრე მშის ჩასვლის დროს.

თითქოს წყნელი კვიდებოო ცას, ღრუბლებს, ზღვას, შორი—ზღვის ნაპირებს...

მაგრამ ჩავიდოდა თუ არა მზე, ერთბაშად დაბნელებოდა, ადარ მოჩანდა არც ზღვა და არც მისი კიდეები. ცაც ჩაბნელებოდა, ხოლო ვარსკვლავები, დიდრონი ნათელი ვარსკვლავები შემოდან ანათებდენ და თითქოს ეურს უგდებდენ ზღვის შუილს.

რამ სამინელი სიბნელე იყო მაშინ ტყეში!

სანდისსან უცბათ გამოელვობოდა სეყე^{სე} ლიმე თუთიუშს და მოჭევებოდა ვვირილს. მაშინ ეველა თუთიუშებსაც გამოელვობოდათ და ეველა ერთად ასტესდენ ვვირილს.

მაგრამ დადგებოდა დილა, არემარეს ნათელი მოფუნებოდა და ეველა ერთბაშათ გამსიარულდებოდა.

თუთიუშები მოჭევებოდენ ვვირილს, მაგრამ აწლა ეს ვვირილი სინარულს გამოხატავდა. მათთან ერთად სეებზე დასტოდენ მათი შვილები, და სინარულით ფრთებს ატკაცუნებდენ.

ერთხელ ტეში მონადირე შევიდა, საფანგი დადგა, შიგ მარცვლები ჩაუარა და თვითონ სეებს ამოეფარა. თუთიუშებმა, ჯერ უფურეს, უფურეს, მერე დაეშენენ ძირს და დაუწეეს მარცვალს კენკა. როდესაც მოინდომეს ისევ სეებზე აფრენა, ვედარ დახსწიეს თავი—ბადეში უკვე გაბმული იყვენ. მოვიდა მონადირე და წაასსა ეველა.

მორთეს ვვირილი დაჭერილ თუთიუშებმა, მათ ბანი მისცეს ტეში დარჩენილ ძმა—ამხანაგებმა.

ის ლამაზი, მშვენიერი თუთიუშიც დაჭერილებში იყო, მისი ცოლ-შვილი ისე ვვიროდენ, თითქოს ტირიანო...

ისინი გულდაწვევტილნი აცილებდენ, ხტოდენ ერთი სკდან, ერთი ტოტიდან შეორეზე.

ლამაზი თუთიუში კი უაფასაში იჯდა და ისიც ვვიროდა და ნაღვლიანათ გამოიფურებოდა. თითქოს ეუბნებოდა მათ:



— მშვიდობით, ძვირფასო ცოლ—შვილებო, მშვიდობით, მე ვერასოდეს ვეღარ გნახავთ.

მონადირემ მოასწავს სახლში ვეკლავ თუთიყუშები, ჩასვს ცაღლ-ცაღლკე გალიებში, ასწავლავს ღაზანარაკი და მერე გაუიდა.

ღამისი თუთიყუში იუიდა ერთმა ქალმა, რომელსაც ჰქვამდა სახელი, სამიყე ქალები: უფროსს ერქვა ტოტო, მომდევნარს ნიკა და სულ ჰატარას მაიკა.

ამათ ვეკლავმ შეიყვარეს თუთიყუში.

ის იჯდა დიდ გალიაში, სამთარში ჰურის საჭმელ ოთახში, ზაფხულში მათ აგარბაკის აივნან'სე.

თუთიყუში აივნადან შესცქეროდა ზღვას. კლდეებს, ხეებს და რაღასაც ფიქრობდა. თითქოს ვიღასაც ეღაზანარაკებო, უსტვენსო, მღერისო.

მან იცოდა ბევრი სიტყვები, გარკვევით ღაზანარაკი.

ემაწვილების სახელები ადვილათ შეისწავლა. სოგჯერ უცბათ, თითქოს დედა უმანის იმათო, დაიყოფრებდა:

— ტოტო?

ტოტო მოირბენდა ბაღიდან, ეკებდა დედას, მაგრამ სად იყო დედა. მარტო თუთიყუში დაუნვადებოდა, შესედავდა ტოტოს და ჰკითხავდა:

— შენ ვინა ხარ?

— შენ ეი, თუთი, რათ მატყუებ! და ისევე გაიცყოდა ბაღში.

თუთიუში კი კისერს გაიკრძელებდა, უკრძალავდა უგდებდა, ძერე დაუსტვენდა, ან იძღერდა.

ერთხელ ამათ ახალი მოჯამაგირე დაიჭირეს. ის ბაღში მიდიოდა, უცბათ აივნებიდან თუთიუშმა დაუვირა.

— ვინა ხარ?

მოჯამაგირემ სწრაფლათ უპასუხა:

— რა გინდა! მე მოჯამაგირე ვარ!

თუთიუშს ძალიან უეუარდა ეურძენი, ალუბალი



და როცა დაინახა

საუდა რომ მაიკანს

მოჭქონდა მისთვის

— გაიწვევდა იმი-

საკენ და ჭკითსაუდა:

— რა მოგაქვს?

ამას უეუარდა,

როდესაც სელს გა-

დუსვამდენ და უა-

ლერსებდენ და ვინც

გააჯავრებდა-თვა-

ლის დასანახაუდა

ეჯავრებოდა, მაშინ

აღარც ლაპარაკი,

აღარც სიმღერა არ

მოსდიოდა თვალ-

ში, მხათ იყო დაეკორტხა.

ამას ეველასე მეტათ მაიკა უეუარდა.



უძაწვილი უზიდავდა ტკბილეულობას და მანვე უბნებოდა.

— ჭაბუ, ჩემო თუთი, და მე მოგეუგები შენი შვილების აძბავს.

თუთიუში თანა სჭამდა და თან თითქოს უსძენდა მას ლაპარაკს,

— შენი შვილები კარგათ არიან, სოლო ნაღვლობენ შენ უნახლობას. მალე წერილს მოგწერენ. მე რომ გავიზრდები—წაგეუვან შენ სამძობლოში, შვილებთან. რა გაუკვირდებათ რომ გნახამენ აგრე ჭკვიანს, ნახვაველს.

* * *

ნიკა ანსელი ბავში იყო და გამუდმებით იცოდა ტირილი, დედა სძირად ეტყოდა:

— ნიკა, შენი ტირილი დაბთავუ?

ერთხელ ნიკა ის იყო აზირებდა ტირილს, რომ უცბათ თუთიუშმა დაუვირა:

— ნიკა, შენი ტირილი დაბთავუ?

ნიკას გუცინა და მას აქეთ, როგორც კი დააზირებდა ტირილს, მოაგონებოდა თუთიუშის სიტყვები და მოჭეუებოდა სიცილს.

ნიკა ძალიან ცელქიც იყო. მოუსვენრად დარბოდა და სძირათ წაიქცეოდა. დედა დაუვირობდა:

— ნიკა, ფრთხილან, წაიქცევი!

ერთხელ ავიანსე თუთიუშის მეტი არავინ იყო, ნიკა აცოცდა სკამსე და იქიდან აზირებდა მოაჯარანსე ასეულს. უსათუოთ გადავარდებოდა და ან სეულს და

ან ფეხს იღრმობდა. თუთიუში დაუვირა
სმით: — ნიკა, ფრთხილათ, წიქცევი!

ნიკა მაშინვე ჩამოვიდა.

თუთიუში მოჭევა ხარხარს.

ნიკა მისვდა, რომ თუთიუშის საქმე იყო და
უთხრა:

— შე საძაგელო, რაზე შეძამინე.

დღეამ კი თუთიუშს მაქარი მისცა და უთხრა:

— ჩემო კარგო თუთი! შენ უფრო ჭკვიანი
ხარ, ვიდრე ნიკა.

როდესაც მოეწეინებოდა თუთიუშს, მოჭეკებოდა
უვირილს:

— ვინა ხართ აქ, ვინ არი მანდ?

ბავშვები მაშინვე მოიბრუნდნენ მასთან და სუძრო-
ბას და თამაშობას მოჭეკებოდნენ.

ერთხელ ტოტო მივიდა თუთიუშთან და უთხრა:

— აი, ეს მოსაწეენი სამთარი თავდება და ძაღუ
წავაბლთ საავარაკოთ.

მაგრამ თუთიუში ნაღვლიანათ გამოიურებოდა.

— რა დაგემართა, თუთი! ეუბნებოდნენ ბავშვები.

წავიდნენ საავარაკოთაც. თუთიუში თითქოს ვამ-
ხიარულდა, მაგრამ ისევ ძაღუ დანაღვლიანდა, მის-
თვის არ იყო აღარც ღანაზაკი, აღარც ხარხარი...
თავს ჩაჭკინდრამდა და დარდიანათ გამოიურებოდა.

წინეთ მისი ყრთები ელვარებდნენ, აბრეშუმს მი-
ეკვანებოდნენ, ახლა კი აქა იქ აშვერილი ჭქონდა და წამ
და უწუმ თრთოდა.



საჭმელს თითქმის აღარას იკარებდა. მარტინული
გინგლირისევა
ერთსელ მიაკა მიუხსლოვდა და უთხრა:

— თუთი, ჩემო ლამაზო, შენ უსათუოდ ნადვლობ
შვილებს უნახაობით. გინდა გაგიღებ გალიას და
გაფრინდი მათთან.

თუთიეუძმა ერთბაშათ გასარეულმა ფრთა-ფრთას
შემოჰკერა.

— უი, როგორ უნდა განთავისუფლება, თქვა მია-
კამ, და გალია გაუღო.

თუთიეუძი გამოვარდა გალიიდან, ფრთა-ფრთას
შემოჰკერა და გაფრინდა. მაგრამ ფრენა ვეღარ შესძლო,
ბუჩქებში ჩავარდა.

და მოჰქევა გულსაკლავათ ევირილს:

— ვინა ხართ აქა, ვინ არი მანდ?

ემაწვილებმა მამინვე შოიბინეს.

ის უფრო შორს ბუჩქებში გადასტა და უფრო
გულსაკლავათ მოჰქევა ევირილს:

— ვინა ხართ აქა, ვინ არი მანდ?

ემაწვილებმა აიფანეს და ისევ გალიაში ჩასვეს.
მან დანუჭა თვალები და გაკმინდა სმა.

— უსათუოდ თავის შვილებზე ფიქრობს, თქვა
მიაკამ

თუთიეუძს ჩაეძინა და ძილში თრთოდა.

მას ესიზმრა, რომ ის მიფრინავს შორს; შორს,
თავის სამშობლოში, თავის ცოლთან, შვილებთან. აი
ის კიდევც გაჩნდა თავის ქვეყანაში.

რა მშვენიერი დილა დადგა, ბურუსი მოსცილდა ზღვას, ტუქში ფრინველებმა მოჭევეს ჭიკჭიკი და მან იწოვა ეველა თავისი ადრინდელი ძეგობრები.

ცდილობს, საბრალო, ჩქარობს, რომ ეველაფერი უპბოს, მერე რაძენი აძბაზი აქვს გადასაცემი.

— დამიკდეთ უური, დამიკდეთ ჩემი თავგადსა-
ვალის აძბაზი. ცრემლებს ვერ შეიძაგრებთ, რომ შე-
იტყოთ ეველაფერი. ჩემი ახალგაზრდობა გავატარე
დამწვედუელი, ნაღველში და ვაივაგლანსში, მოკლებუ-
ლი თავისუფლებას. ვერც ცოლ-შვილზე გავინარე.

მთელი დაბე საბრალო თუთიუში თრთოდა და ფართსალებდა.

მეორე დღეს, როცა ემაწვილები გამოვიდენ აი-
ვანზე რძის დასაღვებათ, თუთიუში გაღიაში მკვდარი
დაუხვდათ.

ან. წერეთლისა.

(თარგმანი)



გაზაფხულის პირი.



მა პირს იწმენდს მობურულსა,
 ღრუბლებიგან იწმინდება,
 აღმოსავლეთს ღიმი უჭრის
 საცა არის გაბრწყინდება.

შესაზარელ მძაფრსა ზამთარს
 უჩანს ბოლო; დასასრული,
 უკანასკნელათ ფართხალებს
 პირს შხამ-დორბლებს მოდებუ-
 ლი.

სანატრელი გაზაფხული
 მოჰპრის ჩვენსკენ გამაღებით,
 ხელფებს უხსნის ყოველივეს
 შეჯაჭვეულსა ბორკილებით.

გათიშული მთა-მინდორი
 ზურმუხტ მოლით იფინება,
 კორდებიდან გადმომსკდარი
 ბაღს ნაკადი ევლინება.

ფრთებ მომართულ ანც მე-
 რცხალსა
 გააქვს სრბოლა და ნავარდი,
 მომხიბვლელსა სურნელებას
 მიმოაკმევს ია, ვარდი.

ვიშ ღხენაა: ტკბილი ღხენა,
 ზეიმი აქვს მთელ ბუნებას
 და მეც იმით მოხიბლული
 ვეძლევ ვიჭილ ფიქრთ-ოცნებას

დ. თურდოსპირელი.

საწყალი ნონია



(გაგრძელება)

ონიას ცისკენ აპყრობილი ხელები ისე აპყრობილად დარჩა, იმის ძარღვებში სისხლი იმდენად გაყინული იყო, რომ მოძრაობა იღარ შეეძლო. ერთ ალაგას ჩაკუნტული, მალლა ხელებ აშვერილი, ის რალაც შავ-გამაოურკვეველ მოჩვენებას წარმოადგენდა ამ თვალ გადუწვდენელ თეთრი თოვლის სამფლობელოში.

თუმცა მოძრაობა აღარ შეეძლო ნონიას, მაგრამ ტვინს კი, ნახევრად გაყინულ ტვინს, კარგა ხანს შერჩა აზროვნება, შიშისა და შეძრწუნების მაგივრად, ახლა სულ სხვა და სხვა სასიამოვნოდ დაფერადებული სურათები წარმოუდგა: თბილისის ქალაქი მზით გაბრწყინვალეებული, აუარებელი ხალხით სავსე, სადღესასწაულოდ მორთულ-მოკაზმული, მერე თავისი ოჯახი, აგრეთვე მხიარული და ბედნიერი, ბუხარში დაგუზგუზებული ცეცხლი, სუფრაზედ ცხელ-ცხელი ბასილები, გოზინაყი და სხვა მრავალი ხილი, სასმელ-საქმელი... ბოლოს თითქო რალაც საკრავის ხმაც მოესმა... ლაპარაკიც... აღერსი ცოლ-შვილისა, დედისა: „გათბი გენაცვალე, გათბი“ ეუბნებოდა ტკბილად დედა ნონიას და თან თავზედ ხელს უსვამდა. ნონიაც თითქო სიხარულით ეკითხებოდა: „თავისუფალი ვარ, თავისუფალი?“. და დედაც თავს უკანტრულშებდა.

ამ მშვენიერი წარმოდგინებით თვალგაღებული, ოღნავ პირმოღიშარი ნონია გაიყინა მთლად და სიკვდილის სამფლობელოში გადავიდა. ყინვა საშინელი იყო და ამიტომ რამდენიმე მგზავრი გაჩქარებული მოეშურებოდნენ იმ გზაზედ, რომელზედაც გაჩხირული იდგა ნონიას გვამი.



— ღმერთო ჩემო! ეს რა მოჩვენებაა! შეპყვირა ვე კაცმა და შეშინებული განზედ გახტა. მერე სუყველანი ერთად შეჯგუფდნენ და ძლივს გაბედეს მიახლოვება და თან პირჯვარს იწერდნენ და ღმერთს იწვევდნენ დასახმარებლად.

— კაცო, კაცი! რისა გეშინიათ, სულელებო, დაუძახა უმფროსმა, თეთრ თმაწვერიანმა გლეხმა ამხანაგებს და თან დაუმატა:

— უნდა ვუშველოთ რამე, გაყინულია. იქნება ჯერ კიდევ შესაძლებელი იყვეს ამის მობრუნება. არაყი მოიტანეთ. აბა ჩქარა, ქრისტიანებო, ხელები, ფეხები დაუზილეთ, არაყი ჩაახტით პირში, ამ დღესასწაულ ღამეს ადამიანის სულს ნუ დავკარგავთ, ეშმაკს ნუ გავახარებთ— ბრძანებლობდა მოხუცი. ყველანი დაფაცურდნენ, საჩქაროდ გააძრეს ნონიას ნახევრად დაგლეჯილ-დაფლეთილი წინდა-წულეები, აუწიეს მკლავები, გული და თოვლით დაუწყეს ხეხვა იმის სხეულს. თან პირში არაყს ასხამდნენ; პატარა ხანს უკან ნონიას კანი შეწითლდა, მერე ამოისუნთქა კიდევ და გაჭყეტილი თვალეები დახუჭა.

— ახლა, მარხილი მოიტანეთ ახლო, კვლავ გასცა ბრძანება უმფროსმა მგზავრთაგანმა და გზის მოშორებით დაყენებული მარხილი, პირამდინ ბარგით და თივით სავსე, წინ წამოაყენეს. ნონია ოთხმა კაცმა ასწია და ბარგსა და ბარგ შუა თავში ჩაფლეს, ზემოდგანაც ტყავის თულუფები, დააყარეს და გზას გაუდგნენ.

შუა ღამე მოტანებული იყო, როდესაც მგზავრები თავიანთ სოფელს მიაღწენ. სოფლის არსებობას ამ მოტვლებილ მინდორზედ ამტკიცებდა მხოლოდ მაღალი საკომლეები, რომლებიდან ეხლა მძლავრი კვამლი და ნაპერწკლები ამოდით. სახლები და სხვა ყოველგვარი შენობები კი თოვლით იყო მიზვინული.

მარხილი გააჩერეს, ყველამ თავ თავის ბარგი გადმოიღო და ნონია და მარხილი იმ მგზავრს შერჩა, რომელსაც ამხანაგები ბიძია ლაზარეს უწოდებდნენ და რომელმაც პირველშივე მზრუნველობა მიიღო ნონიას გადარჩენაზედ.

პატარა ხანს უკან ლაზარემაც გააჩერა მარხილი სოფელი ვანაპირას, სოფლის სხვა სახლებთან შედარებით ცოტა ოდნად უფრო მოდიდო ხის სახლთან და სახლის კარები შეაღო.

კარგა მოდიდო ოთახი ქერში ჩამოკიდებულ ლამფით იყო განათებული. კუთხეში ვეებერთელა აგურით აშენებულნი ფეჩი ენთო.

მეორე კუთხეში, მრავალ ხატებს წინა, პატარა კანდელი ბეუტავდა და ხატებს ქვეშ დიდი, სუფთა ხის მაგიდა იდგა და ზედ დიდრონი პურები ელაგა, რამდენიმე ბოთლი იდგა და თეფშებით სასმელ-საჭმელი. დედაკაცები ფეჩთან კიდევ რაღასაც ფუსფუსებდნენ. საზოგადოთ სახლი სადღესასწაულოთ მომზადებულს ჰგავდა და მოსახლენი, მარტო ოჯახის უფროსს მოელოდნენ, რომ შემოსხდომოდნენ გამზადებულ სუფრას.

— მშვიდობა აქაურობას! ხმა მალლა წარმოსთქვა მოსულ-მა და თან დაუმატა: — აბა, ადამიანებო, მიშველეთ. გაყინული კაცი ვიპოვნეთ გზაში და ვგონებ მობრუნდება.

დედაკაცების დახმარებით ლაზარემ ნონია გახურებულ ოთახში შეიტანა და ფეჩის ახლო გძელ სკამზედ დააწვინა. მეორე გულზედ ყური დაადო და რა დარწმუნდა ნონიას სწორ ფშვინვაში. ზედ თავის ტყავის თულ-უფი მიხურა და სუფრას შემოუჯდა.

ნონია არყის და მჭლავრი ზელების ზელის მოწყალებით გაიღახა, იმის ძარღვებში კვლავ სისხლი ამოძრავდა, გულმა ჩვეულებრივ დაუწყია ცემა, ფილტვებმა ფშვენა, მაგრამ მრავალი არაყის ყლაპითვე დაითრო და იმის დაღალული და დასუსტებული სხეული სიკვდილისებურმა ძილმა შეიპყრო.

განთიადისას, როდესაც გამთბარს და დასვენებულს ნონიას გამოედვიდა, გასაოცარი სურათი წარმოუდგა თვალწინ. სუფრის გარშემო რამდენიმე დედაკაცი იჯდა, თავი მაგიდაზედ დაედოთ და ეძინათ, ფეჩის მოახლოვებითაც, პირდაპირ იატაკზედ გათხლაშულიყვენენ ორი თუ სამი ვაჟკაცი და მხოლოდ ლაზარეს, ისევ ჩაცმულს, მისძინებოდა განიერ, სუფთა გადაფარებულ ლოგინზედ და ორ სამ პატარა ბავშვთან ერთად ხვრინავდა.



ნონიამ კვლავ თვალები დახუჭა და შეეცადა დაეკვირვებინა თავის თავს გარდასავალი მოვგონებინა, სადა ვარ? სად ვიყავ? ფიქრობდა ის და თან თბილ თულუფის ქვეშ და თბილ ოთახში დიდ შვებას და სიამოვნებას გრძნობდა.

— მე ხომ ამხანაგებმა თოვლზედ მიმატოვეს, ტრიალ მინდორზედ... კარგად მახსოვს, რომ თვალებიდან შიშის ნაპერწკალი გადმომცვივდა... თნები მალლა წამივიდა... მერე თითქო ქალაქში ვიყავ. ცოლ-შვილში... დედა მიაღერებდა... მაშ ეხლა სადა ვარ? საიდგან გავჩნდი ამ უცხო ალაგას, ამ უცხო ხალხში? ფიქრობდა ის.

„ღმერთო, ღმერთო! შენ იყავ ჩემი პატრონი და მოწყალე! კვლავ ადაპრო ხელი ნონიამ და წამოდგომას შეეცადა, რომ უკეთესად დაენახა ყველა ის, რაც პირველ თვალის ახილვაზედ ეჩვენა.

ვიწრო, ფეხებ დანძრეული ტახტი, რომელზედაც ნონია იწვა უცებ გვერდ-გვერდ წავიდა ოთახის გალიბულ იატაკზედ და ძირს ბრახვანი მოიღო. ნონიამ შიშით შეჰყვირა და თითქმის მთელმა ოჯახმა ამ ხმაურობაზედ გამოიღვიძა. დიდი და პატარა გაკვირვებით უყურებდნენ ამ უცხო, სულ სხვანაირად ჩაცმულ და სხვა იერის სახის პატრონს ადამიანს. ზოგი ხელის შეხებითაც ცდილობდა იმაში დარწმუნებას, რომ ეს ნამდილი კაცი იყო და არა მოჩვენება.

ბოლოს სახლის უფროსიც ადგა, ტანისამოსი გაისწორა, აბურძგნულ თმა-წვერზედ ხელი გადაისვა და ნონიას ხელი გაუწოდა: „Здорово, молодець! ты откудова будешь? ნონიამ თითო-ორჯოლა სიტყვა იცოდა რუსული, თავის მუშტარში გაგონილი და როგორც იყო თავისი ქვეყნის და თავისი სახელი გაავებინა.

ასე შემთხვევით ჩვენი ნონია სატუსალოს მაგივრად ახალ წელიწად დღეს კარგა ვაკეთებულ ოჯახში მოხვდა და ოჯახის გონიერი მოთაურის მოწყალებით, სიკვდილსაც გადარჩა და რიგინადაც მოეწყო. მაშინვე ჩააცვეს თბილი ტყავი, ფეხებზედ წაბდის მოთელილი ფეხსაცმელები ამოაცვეს, აჭამეს,

ასევე და კმაყოფილებითაც შესცქეროდნენ ამ „ღვთის ნაბოძებზე“ აღამიბნს.

ნონია, თუმცა ძალზედ გონება გაუხსნელი კაცი იყო, მაგრამ ბუნებით მიცემული გონება არ აკლდა და არც სილამაზე ჰქონდა დასაწუნი. იმისი დიდრონი შავი თვალები, ზემოდან გადაჭიმულის შავი უხირის წარბებით, შავი თმა და შავი წვერ-ულვაში, ხორბლის ფერი პირი სახე გაკვირვებას იწვევდა ამ ქერა, თეთრ-თმიან ხალხში და მალე „ნაპოვნის“ მშენიერების სახელი მთელ სოფელს მოედო.

სოფლის მამასახლისიც გამოცხადდა და როგორც უბილეთო „ბროდია“ ს ნონიას შეპყრობა დააპირა და ქალაქში გაგზავნით დაემუქრა. ახალ წლის და მრავალი არყის გადაყლაპის მოწყალებით ხალხი კარგ გუნებაზედ იყო. და მამასახლისის არ დაანება. „ღვთის ნაბოძებია“ იძახდნენ კაცები და დედაკაცები და ბავშვები ხომ ზედაც ეკონწიალებოდნენ რუსულ ტანისამოსში გამოწყობილ „ნაპოვნ“ ბიძიას.

მალე ერთმა დედაკაცმა სოფელში ვიღაც ახლად გარდაცვალებულის „ბილეთიც“ მოიტანა და ლაზარემ ნონიას. ჯიბეში ჩაუდო.

ახლის ბილეთის მოწყალებით ნონია სამთავაძე იავორ ბროდიანის სახელით მოინათლა და სოფელ ლაზაროვკას-მკვიდრად გადაიქცა.

ეკ. გაბაშვილისა.

(შემდეგ იქნება)



მიწის გულში.

მოთხრობა კუპრინისა.



პლატფორმაზე ვასიკოსთან ერთად
 კიდევ ხუთი კაცი დასხდნენ. მანქა-
 ნამ დაიწვილა და ვასიკოს ეგონა,
 რომ თითქოს ფრთები გამოესხაო.
 შხუილით და გრიალით ძირს ჩაეშვა
 მიწაში. აგურის კედლები, რომლი-
 თაც ქა ამოშენებული იყო თითქოს
 ატრიალდა. უცბათ ჩამოხვდნენ.
 ლამფები ძლივს ბეჭუტავდნენ. შემ-
 დევ ვასიკომ იგრძნო, რომ ძირს კი
 არა-ზემოთ მიფრინავს. ამ გვარათ
 გრძნობენ ყველანი, ვინც პირველად პლატფორმაზე მოგზაუ-
 რობენ.

პლატფორმა სიჩქარით და ფრთხილათ ძირს ეშვებოდა,
 ბოლოს მიწაზე გაჩერდა. ზემოდან კედლებიდან წყალი გადმო-
 ჩუხჩუხებდა და მუშები სიჩქაროდ პლატფორმიდან გადმოხტნენ
 რომ არ დასველებულიყვნენ.

კლიონკის მოსახლურავეში გახვეული მუშები ქვანახშირით
 სავესე ოთხკუთხეულებს პლატფორმაზე აწყობდნენ. ვასიკო ყო-
 ველ დედამიწაში ჩასვლაზე შიშსა და მწუხარებას გრძნობდა.
 ეს შავი, გრძელი, დერფიანი დაუბოლოვებელი ეგონა. აქა იქ
 სინათლე ბეჭუტავდა და ისევ უცბად ჰქრებოდა. ფეხის ხმა
 ყრუდ მოისმოდა. ჰაერი უსიამოვნო, ნოტიო, მძიმე და ცივი
 იყო, ზოგიერთ ადგილას კედლებიდან წყაროები გადმოჩუხ-
 ჩუხებდა. ამ ყრუ ხმაურობაში ვასიკო გრძნობდა, თითქოს
 ვინმე ემუქრებოდა.



ვასიკო ბიძია ხრიაშის და გრეკს მისდევდა. იმათი უფლებები ფები ძლივს ბეუტავდნენ. სველ კედლებზე სამი აწილილი გამა მოიხატავოდა. ეს აწილილი ხან ჰქრებოდა და ხან გრძელდებოდა. ძალა უნებლივ ვასიკოს თვალ წინ წარმოუდგებოდა ყოველი სხვა და სხვა შემთხვევები, უბედურება და თქმულბანი, რომელიც მალაროს შესახებ გაეგონა, შიშით მუხლები ეკეცებოდა. „აი სწორედ ამ ადგილას მიწა ჩამოინგრა, თქვა ერთმა და ოთხი მუშა ქვეშ მოჰყვა. სამი მკვდარი მუშა ამოსთხარეს და მეოთხე კი ვერ იპოვნეს. ამბობენ იმისი სული აქ დათარეშობსო და საცოდავად ტირისო“ აქვე თურმე ერთმა მუშამ მეორეს წერაქვით თავი გაუხეთქა და მოჰკლა იმიტომ, რომ არაყი, რომელიც ჩუმად ჩამოეტანა არ უთავაზა და არ დააღვინა. იმასაც ამბობენ, რომ ერთ მოხუცს მუშას, რომელიც დიდ ხანს მალაროში მუშაობდა და ყოველი გზა და კვალი კარგა იცოდა, გზა დაებნა და დაკარგა, მესამე დღეს შიმშილისაგან მისუსტებული ქუაზე შეშლილი იპოვეს. ის „ვილაც,“ რომელიც ატარებდა ამ მუშას მალაროში — უსახლო და უხილავიაო ისე, როგორც ქვესკნელის ძალა; რომ ის მალაროს სიღრმეში დათარეშობსო, მაგრამ „იმაზე“ არც ერთი ნამდვილი მალაროს მუშა კრინტს არ დასძრავდა. იქნება რომელიმე სიმთვრალეში თუ წამოსცდებოდა რამე. ყოველთვის, როდესაც კი ვასიკო თავის თანამომუშავეებს მისდევდა სულ „იმაზე“ ფიქრობდა და თითქოს თავის ახლოს რალაც მძიმე და ცივს სუნთქვასა გრძნობდა და ტანში ჟრუანტელი ჯვლიდა.

— აბა ვანკა, ხომ კარგა იქეიფე, — ჰკითხა ხრიაშმა და გრეკს გადახედა. გრეკმა ხმა არ გასცა და ზიზღით გააფურცხა. გრეკი ხუთი დღეა სამუშაოთ არ გამოჩენილა. თავისი ორი თვის ჯამაგირი სმაში და ქეიფში გაფლანგა ამ ხნის განმავლობაში სულ არ უძინია და რასაკვირველია რომ ძარღვები დასუსტებული ჰქონდა.

— ძალიან კარგი, ძმობილო, აგრე უნდა — არ ისვენებდა ხრიაში, მაგრამ დესიატნიკი რალაზედ გამოლანძღე? ყოჩაღ, ძალიანი საქციელია.

— ნუ როშავ, — მოკლეთ უთხრა გრეკმა.



— რას ვროშავ, სულაც არ ვროშავ, განაგრძობ ბიძია ხრიაშჩმა, რომელსაც სწყინდა რომ ამ ქეიფში თითონაც მონაწილეობა ვერ მიიღო.— აი ეხლა კანტორაში დაგებარებენ ანგარიშის გასასწორებლად და მაშინ გაიგებ ქეიფი როგორც უნდა.

— თავი დამანებე.

— რა დავანებო, ეჰე, ძმობილო, ესეც სამიკიტნო ხომ არ არის რომ აქაურობა ააქოთო. სერგეი ტრიფონის ძემ სთქვა: აბა, ეხლა კარგა შემეხვეწესო...

— გაჩუმდი. შე ძაღლო, შენა!— უცბად წამოიყვირა გრეკმა და გაბრაზებული თვალები მოხუცს გადაავლო.

— მე რა... მე არასფერს არ ვამბობ, გაჩუმებული ვარ ჩემთვის, — შეშინებული სთქვა ბიძია ხრიაშჩმა

სამუშაომდის კიდევ ერთ ვერს ნახევარი ჰქონდათ გასაღლელი. უმთავრეს დერეფნიდან ვიწრო დერეფანში გავიდნენ. ზოგან იმისთანა დაბალი ქერი იყო, დაღუნული უნდა გაეელოთ, რომ თავი არ აეკრათ. ჰაერი თან და თან უფრო სულს უგუბებდა, ძლივს თავიანთ სამუშაო ადგილამდინ მიღწიეს.

ის ისეთი დაბალი და ვიწრო ადგილი იყო, რომ არც მდგომიარე და არც დამჯდარი მუშაობა არ შეიძლებოდა. უნდა დაწოლილიყვნენ. დაწოლილი მუშაობა ძალიან ძნელია. ბიძია ხრიაშჩმა და გრეკმა ტანთ გაიხადეს, ლამფები კედელზე ჩამოაკიდეს და წელამდინ ტიტვლები ერთმანერთის გვერდით დაწვნენ. გრეკი თავს ცუდათა ვრძნობდა, ხუთი ღლის უძილობამ და არაყისაგან მოწამლამ უწია. მთელი სხეული სტკიოდა, თითქოს ჯოხით იყო ნაცემა. ხელები არ ემოჩილეზოდნენ, თავი მძიმეთა ჰქონდა, თითქოს ჩაუეკრავთო, მაგრამ მალაროს მუშის ღირსებას არ ამცირებდა და სისუსტეს არ ამჩნევინებდა. წერაქვს გულმოდგინეთ რბილ პწკრიალ ქვას არტყამდა.

ზოგჯერ ყველაფერი, რაც მის გარშემო იყო, ავიწყდებოდა და მომავებრებელი ორღანოს ზუილი ესმოდა, მაგრამ იმის მარჯვე და მხნე მკლავი მუშაობას თავს არ ანებებდა



გრეკი თან და თან მალლა მიტოცავდა და თავის სუსტ დახუცს თანაშემწეს კარგა მანძილზე მოშორდა.

ნახშირის წვრილი ნამტვრევები იმის წერაქვის ქვეშ ნაპერწკალივით იფანტებოდა. როცა დიდ ნაქერს მოსტებდა ერთი წუთით შეჩერდებოდა, რომ ფეხით გადაესროლა და ისევ ახალი სიმარჯვით მუშაობა გაეგრძელებინა. ვასიკომ ორჯელ კიდევ გაავსო თავისი ურემი ქვა-ნახშირით და მთავარ დერეფანში, სადაც აგროვებდნენ, გაზიდა. მეორეჯერ რომ დაბრუნდა რაღაც სრიალმა და კენესამ გააკვირვა. ვილაც ხრიალებდა, თითქო ახრჩობენო ვასიკოს ეგონა, რომ მუშები წაიჩხუბნენ და შეშინებული შეჩერდა, მაგრამ ხრიაშის ხმამ გამოათხიზლა

— რას შეჩერდი? აქ მოდი მალე.

ვანკა გრეკი ფრთხილდებდა, სახე გალურჯებოდა და პირიდან დორბლი გადმოსდიოდა, თვალის ქუთუთები განივრად დაექუცა და მარტო თეთრი კაკალი მოსჩანდა. ბიძია ხრიაში სრულიად დაიფანტა.

ის შეშინებული თავის ამხანაგის გალურჯებული და გაციებულ სხეულს ანძრევდა და ეხვეწებოდა.

— კარგი, ვანკა, გეყოფა... რა დროს ხუმრობაა!

გრეკს ბნედა მოსვლოდა, საშინლად იკლანებოდა და ფართხალობდა. ხან პირ დაღმა გადაბრუნდებოდა და იგრიხებოდა და იკაკვებოდა, ხან ვაიქიმებოდა და მთელი სხეული უთრთოდა.

— ოჰ! ღმერთო ჩემო, ეს რა ამბავია—ბუტბუტებდა შეშინებული ხრიაში.—გეყოფა ვანკა.., გამიგონე... ღმერთო ჩემო, ესე უცებ რა დაემართა...—მოიცა, ვასიკო, შენ აქ დარჩი, უური უგდე. მე წავალ კაცებს დაუძახებ რომ საავადმყოფოში წაიყვანონ!

— ბიძია, მე მარტო, რა ვქნა? შეშინებული სთქვა ვასიკომ.

— კიდევ ერთი ხმა ამოვიღია, მე შენ გიჩვენებ! გითხარი დარჩი და გათავდა,—პრისხანეთ შეჭყვირა ხრიაშიმა.

საჩქაროდ ჩაიკვა და დერეფნიდან გამოვიდა.

ვასიკო ამ ბნედიან კაცთან მარტო დარჩა. ის კუთხეში



მიკუნტული იყო და არ იცოდა რა ექნა. გრეცის ხელჩაქვით დაწუნარდა, აღარ იკლავებოდა, აღარ ხრიალებდა, ქუთუთოები დახუჭა, ღრმად ამოისუნთქა და გაიქიმა.

ვასიკოს ეხლა უფრო შეეშინდა: „ვაი თუ მოკვდა“, გაიფიქრა მან, შიშით თმები აებურძგნა და ტანში ქრუანტელმა დაუარა, ძლივს სუნთქავდა. ავადმყოფთან მიცოცდა და გულზე ხელი დაადო. გული ვაციებული ჰქონდა, მაგრამ სუსტათ მაინც უცემდა.

— ბიძია გრეც, ბიძია გრეც, — ჩაუჩურჩულა ვასიკომ, გრეცი ხმას არ იღებდა.

— ბიძია, ადექი, საავადმყოფოსთან მე მიგიყვან.

მეზობელ დერეფანში ფეხის ხმა მოისმა. — მადლობა ღმერთს, უთუოდ ხრიაში ჩოღის, — გაიფიქრა ვასიკომ, მაგრამ ეს ხრიაში არ იყო.

ვიღაც მუშამ შემოიჭვრიტა, ლამფა შემოანათა.

— აქ ვინმე არის? ჩქარა მალლა ამოდით! აღელვებული და ბრძანებლობის ხმით წამოიყვირა მან.

— ბიძია, მივარდა ვასიკო, — ბიძია გრეცს რაღაც დაემართა. წვეს და ხმას არ იღებს.

მუშა მოუახლოვდა გრეცს, რომელსაც პირიდან არყის სუნე ამოსდიოდა.

— მთვრალია, თავი გაიქნია მუშამ. — ეი, ვანკა, ადექი, დაუყვირა მან და გაანძრია — ადექი, გეუბნებიან შენ. — მესამე ნომერში მიწა ჩამოწვა, გესმის, ვანკა. გრეცმა რაღაც დაიღმუა, მაგრამ თვალეები მაინც ვერ გაახილა.

— მთვრალ კაცებთან ლაპარაკის დრო არა მაქვს, — წამოიყვირა მუშამ — გააღვიძე, მალე. პატარავ, თორემ შეიძლება აქაც ჩამოწვეს და ქიასავით გაგსრესავეთ.

მუშა უცბათ გავარდა ვასიკოს თვალ წინ წარმოუდგა თავისი საშიში მდგომარეობა. მაშ შესაძლოა იმოდენა მიწა ჩამოწვეს, გაგჰყვლიტოს და მტვრათ გვაქციოს. ყვ.რილს ვერც კი მოასწრობ, ხელფეხს ვერ გაანძრევ, ზედ მიწა გაძევს, მაშასადამე სიკვდილი, შეუბრალებელი სიკვდილი მოგველის. ვასიკო სასოწარკვეთილებამ შეიპყრო. მივარდა გრეცს და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ანძრევდა.

— ბიძია გრეკ, ბიძია გრეკ, გამოიღვიძე რაღა! ყვირილი ბავშვი.

კედელს უკან მარჯვნივ და მარცხნივ ხალხის აჩქარებული ფეხის ხმა მოისმა. ხალხი შეშინებული გარბოდა ზევითკენ. ერთხან ვასიკოს ფიქრმა გაუფლვა გრეკისთვის თავი დაენებებინა და თითონ გაქცეულიყო, მაგრამ რაღაც გამოურკვეველმა გრძობამ შეაჩერა ხელმეორედ გრეკს მივარდა— ნძრევა და ხვეწნა დაუწყო, მაგრამ თავი ინძრეოდა და ტანი კი უძრავად ეგდო. ამ დროს ვასიკომ პატარა ურემს შეხვდა და ბედნიერმა აზრმა გაუფლვა. დიდის ტანჯვით და ვაგბით გრეკი ურემზე დასდო და ვაწრო დერეფნიდან გამოაცურა: შორს მუშების ფეხის ხმა მოისმის. ვასიკო შიშის, სველ მიწაზე ფეხები უსხლტება და თავს ძლივს იმაგრებს. ამ მძიმე ტვირთს დიდის გაკირვებით მიათრევს, თავ-ბრუ ეხვევა, ეშინიან, რომ ღონემ არ უღალატოს. პატარა ხანს დასასვენებლად შეჩერდა, რომ ძალ ღონე მოიკრიფოს და ისევ წაათრიოს.

— არა, არ შემოძლია!

აუცილებელი სიკვდილი უახლოვდება, ჰგონობს, რომ აგერ, აგერ მიწა ჩამოინგრევა და გასქექყავს.

— მადლობა ღმერთს, აი უკანასკნელი მოსახვევიღა დარჩა. შორიდან შანქანის წითელი სინათლე გამოჩნდა, ხალხი მოგროვილა, მოძრაობს...

— მალე, მალე! ყვირიან.

ერთი კიდევ უკანასკნელათ რომ ძალა მოიკრიფოს ვასიკომ, გადარჩებიან.

— ღმერთო ჩემო, ეს რა ამბ-ვია? პლატფორმა დაინძრა და ზეფითკენ მიფრინავს...

— მომიცადეთ, შეაჩერეთ! ხრინწიანის ხმით ყვირის ვასიკო.

ცეცხლ მფრქვევი ბორბლები იმის თვალის წინ ანათებენ... საშინელი ხრიალით და ხმაურობით გარშემო მიწა ინგრევა.

ვასიკო ზემოთ მალაროს ეზოში, ჰაერზე, გონზე მოვიდა ვილასიც ტყაპუქზე წევს და გარშემო ხალხი ახვევია. ერთი



სქელი კაცი საფეთქელს უსრესს, მალაროს მარტველი ცარულ
 ფრანცის ძეც აქ არის, ის ბავშვს დასცქერის და როდესაც
 ნახა, რომ ვასიკო გრძნობაზე მოვიდა და თვალები აახილა
 წასჩურჩულა.

— ჩემო მამაცო ბავშო!

ვასიკოს ეს სიტყვები თუმცა არ ესმოდა, მაგრამ გრძნობ-
 და რომ ამ სიტყვებში ალერსი გამოიხატება. იმან ხალხში უკანა
 რიგში გრეკის გაფითრებული და შეშინებული სახე შეამჩნია,
 ამათი თვალები ერთმანერთს შეხვდნენ, გრეკის თვლებში იმო-
 დენა ალერსი და მადლობა გამოიხატებოდა, რომ ეს ორი
 ადამიანი სამუდამოთ დამეგობრდნენ და დაუახლოვდნენ ერთ-
 მანეთს.

ეკ. მესხი.

(დასასრული)



საუბარი მეცნიერებიდან.



არ გინახავთ ბუდეში ახლათ გამოჩეკი-
 ლი ბარტყი მერცხლისა ან სხვა ჩიტე-
 ბისა? რა პატარაა, ტლიპანა, რბილი,
 ბრმა, საცოდავი! გაივლის რამოდენიმე
 დღე და ის თან და თან წამოიზრდება,
 მოჩიტდება, მომაგრდება, ბუმბულით შეი-
 ნოსება.

ერთი მიბრძანეთ, საიდგან, რა ნაი-
 რათ გაიზარდა? ვინ ჩააცვა ეს ბუმბლის
 სამოსელი, რომელიც მას არა ჰქონია?
 მის ტლიპანა ტანზე მხოლოდ პატარა
 ბუსუსებში იყო და აქა-იქ ბუნტყული, ის
 რომ დაიბადა.

აქ რალაც სასწაული მოხდა.

ხომ ჰხედავდით, რა ხშირათ გაფრინდებოდნენ ხოლმე დედ-
 მამა და ისევ ხშირათ ბრუნდებოდნენ უკან? ნისკარტი სულ
 გამოტენილი ჰქონდათ და პატარა შვილს პირში რალაცას
 უტენიდნენ.

ისინი იკერდნენ პებლებს, მწერებს, ქიაღუას, და იტენი-
 დნენ ნისკარტს, მოჰქონდათ თავის შვილთან და უტენიდნენ
 პირში! ისიც ერთგულათ ჰყლაპევდა! გაიარა დღეებმა და ის
 წამოიზარდა, მოჩიტდა, ბუმბულით შეიმოსა.

ამგვარი სასწაული მოახდინეს იმ პებლებმა, მწერებმა და
 ქიაღუებმა, რომლებსაც პატარა ბარტყის დედ-მამა იკერდა და
 თავის შვილს პირში უტენიდა. ბარტყი ჰყლაპავდა ყოველის-
 ფერს, რაც დედ-მამას მოჰქონდა და იზრდებოდა, იმოსებოდა.
 ბოლოს სრულებით დაჩიტდა, გაიზარდა, დედ-მამის ოდენა
 გახდა. ერთ მშვენიერს დღეს ფრთები გაშალა, კისერი წააგ-
 ძელა, აფართხალდა და ბუდიდან გადმოფრინდა! წინეთ სა-



ცოდავი ტლიბანა, ბრმა და ერთი ცახე ბარტყი იყო და ახლა კი მთელი ჩიტია, თავისუფლად დანავადობს ცის სივრცეში, ცა-ქუდათ არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნათ!

როგორ, რა გზით, რანაირათ გადიქცა ტლიბანა ბარტყი სულ რამდენიმე კვირის განმავლობაში დიდ ჩიტათ?

რა ნაირათ? ის ერთგულათ ჰყლავაჲდა პეპელებს, მწერებს, ქიებს და გადიქცა დიდ ჩიტათ. მაშასადამე დიდ ჩიტათ ის გადააქციეს სწორეთ ამ პეპლებმა და ქიებმა.

ესეც კიდევ ხელ-ახალი საკვირველება!

როგორ, რა გზით, რა ნაირათ გადააქციეს პეპლებმა, მწერებმა და ქიებმა პატარა ტლიბანა ბარტყი დიდ ჩიტათ?

რა ნაირათ? რა ნაირათ და ქიები, მწერები და პეპლები თვითონ გადიქცენ ბლარტის ხორცათ, ძვლათ და ბუმბლათ, შეუერთდენ ბარტყის ხორცს, ძვალს, მიემატენ მას, გაზარდეს ის და ამგვართ დიდ ჩიტათ გადააქციეს.

პეპლები, ქიები და მწერები როგორღა გადიქცენ ბლარტის ხორცათ, ძვლებათ და ბუმბლათ? აი როგორ გადიქცენ.

პეპლების, ქიების და მწერების სხეული, მათი აგებულება იმავე მასალისაგან შესდგება, რისგანაც პატარა ბარტყის სხეული. იქაც, აქაც მასალა ერთი და იგივეა, მხოლოთ სხვადა-სხვა სახეში სხვა-და-სხვა ტანშია მოქცეული.

თუ გნებავთ, აი უბრალო მაგალითი: ორი პატარა სახლი რომ დააქციოთ, ერთი მოზრდილი სახლი შეიძლება გაკეთდეს. გლეხის სახლი და მეფის სასახლე ერთი და იგივე მასალიდან კეთდება. იგივე ხდება ბუნებაში. პეპელას ტანში იგივე მასალაა, რაც ჩიტის ტანში. ბარტყის კუჭში პეპელა იშლება, იხსნება, მისი მასალა თავისუფლდება და ემატება ბარტყის ტანს. ეს უკანასკნელი იზრდება და ბოლოს მთელ ჩიტათ გადიქცევა. ჩიტი თუ ორბს, მიმინოს ან კატას შეუქმნელი გადურჩა, ბუდეს გააკეთებს, კვერცხებს დადებს, გამოჩეკავს შვილებს და ბოლოს მოკვდება.

თუ მიმინოს კლანჭებში მოხვდა? მაშინ მიმინო ან თვითონ შესჰამს, ან თავის შვილებს შეაქმნევს.

რა მოუვა მაშინ ჩიტს? მოუვა ის, რაც მოუვიდა ბუზებს,



მწერებსა და პეპლებს, რომლებიც მან გადაჰყლაპა. ჩიტი დაწინააღმდეგობა უშლება, გაიხსნება მიმინოს კუჭში, კუჭიდან გადავა ნაწლავებში, აქედან სისხლში და შეუერთდება მიმინოს სხეულს, მიმინოს ტანს მიემატება.

ჩიტი თუ მიმინოს გადურჩა, დაბერდა და მოკვდა, მაშინ რაღა მოუვა?

აი რა მოუვა.

მკვდარი ჩიტი ნელ-ნელა გაიხრწნება, დაღუპება და დაიშლება; ის მასალა, რომლისაგანაც მისი აგებულება შესდგება, განთავისუფლდება. ამ გვარათ მკვდარ ჩიტს გახრწნისა და დაღუპობის საშუალებით იგივე ემართება, რაც მიმინოსაგან შექმულს მიმინოს კუჭში; მხოლოდ ჰაერზედ მკვდარი ჩიტი უფრო ნელა იხრწნება, იშლება, მიმინოს კუჭში კი უფრო სწრაფათ—სულ რამოდენიმე საათის განმავლობაში.

ამ გვარათ მკვდარი ჩიტი გაიხრწნა და მისი მასალა განთავისუფლდა. მერე სად მიდის ეს მასალა? ჩიტის, როგორც ყოველი ცოცხალი არსების მასალა შესდგება სამი ნაწილისაგან: პირველია წყალი, მეორე მაგარი ნაწილები—ხორცი, ძვალი და სხვ., მესამე კი ჰაერის მგზავსი, ანუ მოკლეთ რომ ვთქვათ ჰაერგვარი ნაწილი.

ჩიტი ხრწნას იწყებს აუ არა, მისი პირველი ნაწილი—წყალი ზოგი მიწას უერთდება, ზოგი კი ორთქლათ გადიქცევა და ჰაერში აღის, მაგრამ შემდეგ ისიც ხომ მიწას უბრუნდება წვიმის სახით.

მეორე მაგარი ნაწილი ნელ-ნელა დნება წვიმის წყალში და მიწას უერთდება. ყველაზე უფრო დიდხანს ძლებს ძვლები, მაგრამ მასაც ქარი აშრობს, სისველეს სრულებით აცლის; ძვლები ნაცრდებიან და ბოლოს მიწას უერთდებიან.

მესამე—ჰაერგვარი ნაწილები ჰაერს უერთდებიან.

მაშასადამე სად წავიდა ის მასალა, რომლისგანაც ჩიტი შესდგებოდა?

ზოგი ჰაერს შეუერთდა, ზოგიც მიწას. ახლა ერთი ეს ვიკითხოთ, ეს მასალა სამუდამოთ ჰაერში და მიწაში რჩება თუ არა?



ჩიტი აღარ არსებობს, ეს მასალა მისი აგებულების მასალის საკირო აღარ არის. ბუნება ამ მასალას არა ჰკარგავს და სხვა საკიროებისათვის ხმარობს, ამ მასალიდან სხვა რასმეს აკეთებს.

რას აკეთებს?

რას აკეთებს და აი რას:

მიწა და ჰაერი ასაზრდოებენ, ბალახს, სოკოს, ხეს. ბალახიც, სოკოც, ხეც სუნთქავენ და სუნთქვის შემწეობით ჰაერიდან იღებენ სხვა და სხვა ნაწილებს. თავისი ფესოებისა და ბუსუსების შემწეობით ისინი მიწიდან იღებენ სხვა და სხვა ნივთიერებას და საზრდოობენ.

ჩვენ დავინახეთ, რომ მომკვდარი ჩიტის გახრწნის შემდეგ მისი ზოგი ნაწილი ჰაერს უერთდება, ზოგიც მიწას. ჰაერში ასული ნაწილები გადავა ან ხეში, ან სოკოში, ან ბალახში, ყვავილში და სხვ., მიწაში ჩასულ ნაწილებსაც ხე, ბალახი, სოკო, ყვავილი და სხვა მცენარენი შეისვამენ თავისი ფესოებისა და ბუსუსების შემწეობით, ამ გვარათ ის მასალა, რომლისაგანაც შესდგებოდა ჩიტი, შეუერთდება ჩიტის სიკვდილის შემდეგ ხეს, ბალახს, სოკოს, ყვავილს და სხვ. მცენარეს.

აიღეთ თუნდა ახლათ დაბადებული ხბო. ის ყოველ დღე იზრდება და გადიქცევა ბოლოს დიდ ხარათ. საიდან ვაიზარდა, რამ გაზარდა? პირველათ ის სწოვდა მხოლოდ დედის ძუძუს, მაშასადამე მას ზრდიდა რძე. რძე ჩადიოდა იმის კუჭში, გადადიოდა იმის სისხლში და ემატებოდა იმის აგებულებას. აქედან. ცხადია, რომ რძეს შეუძლია გადიქცეს ხბოს ხორცათ, ძვლათ და სხვა ნაწილებათ. რძე საიდანღა ჩაუღდა ძროხას ძუძუებში? ძროხა სვამს წყალს, საზრდოობს ბალახით. აი ეს ბალახი და წყალი გადიქცენ რძეთ. მაშასადამე ბალახი ჯერ რძეთ გადიქცა: რძე კი ხბოს აგებულებაში გადიქცა ხორცათ, ძვლათ და სხვა ნაწილებათ. როდესაც ხბომ ძუძუს წოვას თავი დაანება, მან იწყო ბალახით საზრდოობა და გადიქცა დიდ ხოათ. ცხადია, ის გაზარდა ბალახმა. ბალახი იმის აგებულებაში იღებდა ხორჯისა და ძვლის სახეს, ემატებოდა ხბოს სხეულსა და ამ გვარათ ის დიდ ხარათ გახდა.

თუ ხარი თავისის სიკვდილით მოკვდა, მაშინ იმასაც ის

დაემართება, რაც ტყეში მომკვდარ ჩიტს. გაიხრწნება, დასუსტდება, მისი მასალა განთავისუფლდება და ზოგი ჰაერს შეუერთდება, ზოგიც მიწას. ჰაერიდან და მიწიდან კი ეს, მასალა გადავა ისევ ბალახში, ხეში, ყვავილში და სხვა მკენარეში.

მაგრამ ვინ აღირსებს ხარს ბუნებრივ სიკვდილს! მთელი თავისი სიცოცხლე მან უღელ ქვეშ უნდა გაატაროს მძიმე შრომაში, როდესაც დაბერდება და ღონე გამოეღევა, წამოაქცევენ და გამოსპრიან ყელს. მას შევქამთ მე, შენ, ჩემო ნორჩო მკითხველო, ან სხვა ჩვენისთანები და ამ გვართ ის შეუერთდება ჩვენს სხეულს.

ავიღოთ ახლა ადამიანი, რომელიმე პეტრე ან ივანე, სულ ერთია. როდესაც პეტრე დაიბადა, ის იწონიდა რამოდენიმე გირვანქას. ახლა ის დიდი კაცია და იწონის რამოდენიმე ფუთს. რამ გაზარდა, საიდან შეიძინა ამოდენა წონა? ის ჯერ მარტო დედის ძუძუსა სწოვდა. მაშასადამე დედის რძე იმის სხეულში იქცეოდა იმის ხორცათა და ძვლათ, ემატებოდა პატარა პეტრეს და ზრდიდა მას. შემდეგ პეტრემ დაიწყო პურის ქამა, ქათმის, კვერცხის, ყველისა, მჭადის, ლობიოსი, ხილის, თევზის, ძროხის ხორცის, ცხვრის ხორცის, ღორის ხორცისა, წყლის სმა და გადიქვა დიდ ადამიანათ,—რამოდენიმე გირვანქა იყო და ახლა რამოდენიმე ფუთია!

აქედან ცხადია, რომ პური გადიქვა იმის ნაწილებათ; ქათმის ხორცი, ძროხისა, ღორისა, ცხვრისა, კვერცხი, ყველი, თევზი და ყოველისფერი, რასაც ის სჭამდა პეტრეს ნაწილებათ გადიქვენ და გაზარდეს ის. პეტრეს სხეულში ურევია ქათმის ნაწილიც, ღორისაც, თევზისაც, კვერცხისაც, პურისაც, ძროხისაც, ცხვრისაც, ხილისაც, მწვანეხილისაც და სხვა და სხვა. როდესაც პეტრე მოკვდება, მას დაასაფლავებენ. მიწაში მას იგივე ბედი ეწევა, რაც ტყეში ჩამკვდარ ჩიტს ან მკვდარ ხარს. ის გაიხრწნება, დაიშლება, მისი მასალა, თხელი ნაწილი და წყალი პირდაპირ მიწას შეუერთდება, მაგარ ნაწილს ნელ-ნელა გაადნობს წვიმის ან მიწის წყალი და ისიც მიწას შეუერთდება, ჰაერგვარი ნაწილი მიწიდან ამოვა და ჰაერში ავა. უფრო დიდხანს გაძლებენ ძვლები, მაგრამ ბოლოს ისიც




ნიც დანაცრდებიან. ბუნება ამ მასალას არ დაჰკარგავს, იმ გვარათვე გამოიყენებს, როგორც მან ჩიტის და ხარის აგებულება გამოიყენა. მიწა და ჰაერი ასაზრდოებს და ზრდის ბალახს, ხეს, სხვა და სხვა მცენარეს, სოკოს და სხვ. ის მასალა, რომლისგან შესდგებოდა პეტრე, მიემატება ხეს, ბალახს, ყვავილს, და სხვა მცენარეს. ბალახს და მცენარეულობას მოსძოვს ცხვარი, საქონელი, შექამს ღორი, ბატი და სხვ. და ამ გვარათ ნაწილი იმ მასალისა. რომელიც შეადგენ და პეტრეს აგებულებას, გადავა ცხვარში, ძროხაში, ღორში, ბატში და სხვ., რაც მე ვთქვი რომელიმე პეტრეს შესახებ იგივე ითქმის ყოველი ჩვენგანის და მთელი კაცობრიობის შესახებაც.

ყოველივე ნათქვამიდან აშკარაა შემდეგი: ბუნებაში სახელობრ მიწაში და ჰაერში არსებობენ სხვა და სხვა ნივთიერება, რომლებიც ყველა ერთათ წარმოადგენენ მასალას ყველა ცხოველთა და მცენარეთა ასალოონებლათ. ამ მასალიდან ჩნდება ხე, ბალახი, ჩიტი კოლო, პეპელა, ხარი, ცხენი, ადამიანი და სხვა. ყოველი ჩვენგანი, ყოველი ცხოველი და მცენარე თავისი არსებობის დროს ამ საერთო მასალიდან იღებს თავისთვის ნაწილს. მისი სიკვდილის შემდეგ, ეს ნაწილი ისევ საერთო მასალას უბრუნდება, რომ შემდეგ ისევ მოხმარდეს მცენარის ან რომელიმე ცხოველის ზრდას.

ყოველი ჩვენგანის სხეულში არის ნაწილი ბალახის, კვერცხის, რძის, ქათმის, ღორის, ცხვრის, ძროხის და სხვა. ყოველი ჩვენგანის სიკვდილს შემდეგ ჩვენი აგებულების მასალა განაწილდება ისევ მცენარეებში, სხვა და სხვა ცხოველებში და ბოლოს ისევ ადამიანებში, რომლებიც ამ მცენარეებსა და ცხოველებს შექამენ.

ივ. გომართელი.



ფ უ ლ ი.

გამოსაღები ცნობა.

(დასასრული)



აღვან იმ დროს არ მოიპოვებოდა სწორი და ნამდვილი სასწორი—ოქროს ისე აფასებდენ, როგორც ვერცხლს ან თითბერს, —როგორც თვალი უჩვენებდა. მერე გამოჰყავდათ ოქროს რგოლები, ბეჭედსავით აკეთებდენ, უსათუოდ იმიტომ, რომ ეს ძვირფასი საფასური ყოველთვის თან, ხელზე ეტარებინათ.

ძველ-დროის სასაფლაოებზე, კუბოებში ჰპოულობენ ამგვარ ოქროს ბეჭედებს რგოლზე ასხმულებს. ამგვარ რგოლებს ძველ დროში ფულის ქისის მაგივრათ ხმარობდენ. ბოლოს, ვაქრობაში რომ სამართლიანობა დამყარებულყო და ოქრო ხოლო თვალით არ ეზომათ, გამოიგონეს სწორი და ნამდვილი სასწორი. მცირე ლითონის ასაწონათ აგრე რიგათ არ იყო საჭირო ძალიანი სწორი სასწორი, ამიტომ დააწესეს პირველათ: მისხალი, ნაწილი... მერე როცა კარგა დრო გავიდა, შემოიღეს გირვანქა, ფუთი და სხვ... სულ ძველ-დროს საზომათ ხმარობდენ ზოგიერთ მცენარეების მარცვალს.

ფინიკიელები ყველაზე მკირე საგნის საზომათ ხმარობდენ ხორბლის მარცვალს, რომაელები კი ბალახ ტუხტის მარცვალს.

ოქროს რგოლებს—ბეჭედებს, ბრიჯაოსის ფიქალათ დაქრილებს, მხოლოთ ერთი რამე აკლდა—უნდა ზედ გამოსახული ყოფილიყო საფასი, რომ ნამდვილ ფულათ ჩაეთვალათ და აღებ-მიცემობაში ჰქონოდა დანამდვილებული ფასი.

ამას მოჰყვა ნამდვილი ფულის მოქრა. მაგრამ ამ არეულ ოქრო-ვერცხლის ფულს ერთ მხარეზე ეტყობოდა მაშა, რომლითაც ეჭირათ ეს ფული და მეორე მხარეზე გამოყვანილი იყო უშნოთ ირემი შემდეგი ბერძნული წარწერით: „მე



ვარ ფანნა“. ვინ იყო ეს ფანნა—ლმერთმა იცის, იქნებოდა რომელიმე მდიდარი ვაჭარი, რომელმაც დაასვა ბეჭედი ფულსა.

ამას მიჰბაძეს ხელმწიფეებმა და მას აქეთ სახელმწიფოს უფლებათ შეიქნა ფულის მოჭრა.

საქართველოში თავდაპირველად ჰხმარობდენ უცხოელე-ბის მიერ ნაჭედს ფულებს, ბერძნულსა, რომაულს, პართულს. მეტადრე გავრცელებული იყო კოლხიდაში მყოფ ბერძნულ ახალშენების პატარა ვერცხლის ფული, რომლის ერთ პირზე ქალის თავია გამოხატული და მეორე პირზე ხარის თავი. ზოგიერთების აზრით ამ ფულს „ხვასტაგი“ ერქვა, ხოლო „ხვასტაგი“ ქართულათ ნიშნავს ოთხფეხ ცხოვარს, წვრილ ფეხსა და რქიან საქონელს. საქართველოში იჭრებოდა აგრეთვე რომაელ იმპერატორის ავგუსტო მეფისეული სახის ფული. ნამდვილი ქართული ფულების ქედვა ხუცურის წარწერებით ჩვენში დაიწყო მეექვსე და მეშვიდე საუკუნოებში ქრისტეს შემდეგ. ამ ფულებს აწერია იმდროინდელა მფლობელების და ერისთავების სახელები: სტეფანოს, ვახტანგ, ჟუანშუარ და გურჯენ. ეს ფულები ყველა ვერცხლისაა; ვერცხლისაა აგრედვე დავით კუაბალატის ფული მეთე საუკუნისა, ბაგრატ მეოთხის ფული მეთერთმეტე საუკუნისა, გიორგი მეორის ფული მეთერთმეტევე საუკუნისა, დავით აღმაშენებლის ფული მეთორმეტე საუკუნისა და სხვა. გარდა ვერცხლის ფულებისა საქართველოში იჭედებოდა აგრედვე სპილენძის ფულები. განსაკუთრებით ბევრია სპილენძის ფულები თამარ მეფისა (მეთორმეტე საუკუნე), ლაშა გიორგისა (მეცამეტე საუკუნე) და რუსუდან დედოფლისა. ვერცხლის ფული თამარ დედოფლისა და ლაშა გიორგისა ჯერ ნაპოვნი არ არის. იმ დროს მთელს აღმოსავლეთში ვერცხლი ძვირობდა და ყველა ერები სპილენძის ფულს სჭედდენ. რუსუდან მეფის დროდან მეცამეტე საუკუნეში ხელახლა შემოდის ვერცხლის ფულის ხმარება და ვერცხლის და სპილენძის ფულების ქედვა; მხოლოდ დრო-გამოშვებით შეწყდებოდა ხოლმე საქართველოში უცხოელების მფლობელობის დროს და ხელახლა იწყებოდა ქედვა ფულებისა სა-

ქართველოს გაძლიერების და აღორძინების დროს. ოქროს
 ფული იშვიათად იჭრებოდა საქართველოში და ჯერ-ჯერობით
 ერთი მაგალითი ვიცით ოქროს ფულის მოჭრისა ირაკლი მე-
 ორის დროს. მეთვრამეტე საუკუნეში ქართული ფულის მო-
 ჭრა არ შეწყვეტილა საქართველოს რუსეთთან შეერთების
 შემდეგაც. 1801 წლიდან 1833 წლამდე რუსის მთავრობა
 ტფილისში სჭრიდა ვერცხლის ორ-აბაზიანებს, თითო აბაზია-
 ნებს და ორ შაურიანებს და ავრეთვე სპილენძის ფულებსაც
 ქართულის წარწერებით. ხოლო 1833 წლიდან ქართულის
 ფულის მოჭრა შესწყდა და ჩვენში ხმარებაშია მხოლოდ რუ-
 სული ფული.

—

რაც შეეხება ზემო მოყვანილ საქართველოს ფულზე ცნო-
 ბებს ეს გადმოგვცა დიდად პატივცემულმა ექვთიმე თაყაიშვილ-
 მა, რომელსაც დიდ მადლობას უძღვნის რედაქცია.

ან. წერეთლისა.



გამოსადეგი ცნობა.

(შეღიების შესახებ)

ხშირად ვერ ვარჩევთ ზვენ მტერ მოყვრებს ვდევნით და მუსრს ვადნთ ისეთ ცხოველებს, რომელნიც გამოსაყენი არიან. მაგალითად ავიღოთ მელიები. ერთი მტკაველი ბეწვის გულისთვის და ან ორიოდ მოპარულ ქათმებისთვის მონადირენი იმათ შავ დღეს აყენებენ. მელიების გამოსასარჩლებლათ ერთ მაგალითს მოვიყვანთ. ჩვენი ქართლის ერთ ადგილას ქართლებთან მეზობლათ ცხოვრობდნ ოსები. ერთ წელს ოსებს პური თითქმის სულ არ მოუვიდათ—მინდვრის თავგებს გაენადგურებიათ. ქართლებების ყანაში კი ღვთის უვალი ტრიალებდა. ეს იმითი აიხსნა, რომ ოსები მონადირენი იყვენ და თავიანთ არე შარეზე გაწყვიტეს მელიები. ქართლებებს არ უყვარდათ ნადირობა და მელიებს ხელს არ ახლებდნ. შელია კი მინდვრის თავგებისა დაუძინებელი მტერია. მოკლულ მელიის ტომაქში იპოვით ორმოცამდის მინდვრის თავგებს ახლათ გადაყლაპულებს, მოუნელებელს და ამოდენივე თავგებს მელია დღეში რამდენჯერმე ულაპავს.

მელია ასე უთვალავ მღრინავებს ასალებს ხოლმე. ყველა იმ მხარეში, საცა მონადირენი დაბეჯითებით დევნიან მელიებს, იქ ხშირათ ჩამოვარდება შიმშილობა და არა თუ მინდვრის თავგები ნათესს ანადგურებენ, შენახულ ქირნახულოსაც ხეირს არ აყრიან.

მაგრამ ჩვენ მაინც ვდევნით და მტრათ ვთვლით მელიას.





ზე, ვახტანგზე, თამარზე, ერეკლე-მეფეზე და სხვებზე. ქართული ისტორია წყაროების ამავდროულად ეკუთვნის ხალხური შელოცვები, წმიდანების შესახებ თქმულებანი, ის ზღაპრები, სადაც ღმერთებზე და საიქიო ცხოვრებაზეა ლაპარაკი, აგრეთვე ხალხური ლექსები, ანდაზები, გამოცანები და სხვანი. ამ წყაროებში იხატება ქართველი ხალხის ძველი რწმენა-შეხედულებანი; ქუჟა-დაკვირვება, გონების სიმახვილე და სხვ. ამიტომ ჩვენი წარსულის შესასწავლად ამგვარ წყაროებს დიდი მნიშვნელობა აქვს. — ამავდროულად წყაროებს შეგვიძლია მივაკუთნოთ თვით ქართული ენა და მისი შტოები. რაგინდ ძლიერ განვითარებული იყოს ამა თუ იმ ერის ენა, მასში მუდამ მოიპოვება ისეთი ძირითადი სიტყვები და მთელი წინადადებანი, რომელნიც ამ ენას უუძველესი დროიდან შერჩენია, სხვა ენებიდან არ უსესხნია. ამგვარი სიტყვების და წინადადებათა დაკვირვება გვიჩვენებს ამ ერის უუძველეს საზოგადოებრივ წყობილებას, ზნეჩვეულებას და გონებრივ მდგომარეობას. საგეოგრაფიო სახელების დაკვირვება გვიჩვენებს, თუ სად უცხოვრია თავდაპირველათ ჩვენს ერს და რომელი ადგილები გამოუვლია, სანამ დღევანდელ სამშობლოში დაემკვიდრებოდა. უცხო ენებიდან შეთვისებული სიტყვების გამოკვლევა გვატყობინებს, თუ რომელ ერებთან ჰქონია ჩვენს ხალხს დამოკიდებულება და იმ ხალხთაგან ვის როგორი გავლენა ჰქონია ჩვენს ერზე; პირიქით, თუ ქართული სიტყვები რომელსამე უცხო ენაში აღმოჩნდება, ეს კიდევ იმისი მაჩვენებელი იქნება, რომ ქართველ ერს იმ ხალხთან რაიმე ურთიერთობა ჰქონია და სხვა. — ასეთია საზოგადოთ ზეპირ-სიტყვაობა და მისი მნიშვნელობა ისტორიისათვის.

3. **მწერლობა.** ზემოთ აღნიშნულ წყაროებთან შედარებით ყველაზე მეტს მასალას მწერლობა იძლევა. ჩვენი ისტორიის მწერლობითი წყაროები ორ გვარია: **ქართული და არა-ქართული**, ე. ი. უცხოეთის მწერალთა ცნობები.

ისტორიულმა ბედმა ქართველებს იმ თავითვე განვითარებულ ერთა შორის არგუნა ცხოვრება. სანამ ქართველები



საკუთარს მწერლობას გაიჩენდნენ, მეზობელ ერებს უკვე ^{ქართული} ^{ენციკლოპედია} ^{ქართული} ^{ენციკლოპედია} ნდათ მწერლობა. ქართველებს ის ერები ზოგჯერ მტრობდნენ და ეომებოდნენ, ზოგჯერ კიდევ შეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ. ამიტომ თავის სამწერლო ნაშთებში იგინი ცნობებს ქართველების შესახებაც იძლევიან. ასეთი ცნობები გვხვდება, მაგალითად, **ვევიპტელების** ხატოვან წარწერებში, ანუ იერო-გლიფებში, **ასურელების** ლურსმულ მწერლობაში, **ებრაელების** „დაბადებაში“, **ბერძენ** და **რომაელ** ისტორიკოსთა ნაწერებში, **სომხურ**, **არაბულ**, **იტალიურ** და **რუსულ** წყაროებში. ამ წყაროების მნიშვნელობა ჩვენი ისტორიისათვის დაუფასებელია. მართალია, ზოგიერთ შემთხვევაში ეს წყაროები სისწოროთ არ გადმოგვცემს ჩვენებური ადგილებისა და ისტორიული პირების სახელებს, აქა-იქ საისტორიო ამბებსაც ურევს ერთმანეთში, მაგრამ ეს მხოლოდ იშვიათი შემთხვევაა; უმეტესათ კი უცხოეთურს წყაროებში საქართველოს შესახებ ისეთი ძვირფასი, უხვი და უტყუარი მასალა გვხვდება, რომლის მსგავსსაც არც ერთი ქართული წყარო არ იძლევა. ასეთია, განსაკუთრებით, უუძველესი პერიოდის შესახებ ასურული ცნობები, ძველისა და საშუალო ისტორიისათვის — ბერძენ და რომაელ ისტორიკოსთა ნაწერები (სტრაბონი, ტაციტი, რუფინი, პროკოპი კესარიელი), ხოლო ახალი ისტორიისათვის — იტალიელ მისიონერთა წერილები (ლამბერტი).

ახლა გადავიდეთ ადგილობრივი, ე. ი. ქართული საისტორიო წყაროების განხილვაზე. როგორც ქვემოთ თავის ალაგას მოვიხსენებთ, საკუთარი ანბანი და „მწიგნობრობა“ ქართველებს ქრისტეს წინათაც ჰქონიათ. მაგრამ, სამწუხაროთ, იმ დროიდან ჩვენამდე თავისი პირვანდელი სახით არც ერთს სამწერლო ნაშთს არ მოუწვია. საბუთი კი გვაქვს ვივიქროთ, რომ მოკლე მწერლობითი ცნობები მეფეთა ვინაობისა და მათი მოღვაწეობის შესახებ ქართველებს ქრისტიანობის მიღებამდეც უნდა ჰქონოდათ. შემდეგ, როცა ჩვენში ქრისტიანობა დამყარებულა, ჩვენს მწერლებს ზოგი იმ ცნობათაგანი თავის ნაწერებშიაც შეუტანიათ; მაგრამ ძველი ცნობები ბევრჯერ ისე შეუცვლიათ, რომ დღეს ძნელი გამოსაცნობია, თუ რა სა-

ხისა უნდა ყოფილიყონ იგინი ქრისტიანობის წინა პერიოდში ამიტომ ქართული მწერლობის და კერძოთ საისტორიო მწერლობის მიმოხილვას, ჩვეულებრივ, ჩვენში ქრისტიანობის დამყარების შემდეგ იწყებენ. ჩვენც ასე მოვიქცეთ.

ა) ქრისტიანობამ საქართველოში მე-IV საუკუნის დამდეგს გაიმარჯვა (მე-3 წლის მახლობლათ). პირველ ხანათ ჩვენში ქრისტიანი მწერლები უმთავრესათ სასულიერო პირები იყვნენ. ამიტომ იგინი უფრო მეტ ყურადღებას საეკლესიო ამბებსა და წმიდანების მოღვაწეობას აქცევდენ. ამგვარათ წარმოდგა უძველესი ქართული საისტორიო წყარო — **წმიდათა „ცხოვრება“**, ე. ი. წმიდა მამათა და დედათა ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერა. შემდეგში ეს, სხვა და სხვა დროს დაწერილი „ცხოვრებანი“ ერთ წიგნად შეკრიბეს და, ამგვარათ, წარმოგა **„მამათა ცხოვრება“**, ე. ი. წმიდა მამების (და აგრეთვე დედების) თავდასაჯალის აღწერა. ამ „ცხოვრებათა“ შორის ყველაზე უძველესად ითვლებიან: წმ. შუშანიკის „ცხოვრება“ (მე-5 საუკუნისა) შემდეგ ესტატე მცხეთელისა (მე-6 საუკ.), მერე — აბო თფილელისა (მე-8 საუკ.) და სხვათა. ქართველ წმიდათა „ცხოვრებანი“ ერთ წიგნად დაბეჭდა და მშვენიერი სურათებით შეამკო მიხეილ საბინინმა, წარსულ საუკუნეში (1882 წ.). ამ წიგნს სახელათ ჰქვია: **„საქართველოს სამოთხე“**.

ბ) „მამათა ცხოვრების“ შემდეგ ერთ უძველეს ქართულ საისტორიო წყაროდ ითვლება პატარა ქრონიკა **„მოქცევაჲ ქართლისაჲ“**. ეს ქრონიკა ამ ოციოდე წლის წინათ ერთ ძველ ტყავის წიგნში აღმოაჩინეს. ეს წიგნი მე-10 საუკუნეში გადაუწერიათ შატბერდის მონასტერში (ქოროხის ხეობაში). ამიტომ თვით ქრონიკასაც ზოგიერთებმა **„შატბერდული ქრონიკა“** უწოდეს. ეს წყარო უმთავრესათ საეკლესიო ქრონიკაა; ამიტომაც შედარებით უფრო ვრცლათ ქართველების „მოქცევის“ ანუ მოქრისტიანების ამბავს მოგვითხრობს. მაგრამ, ამასთანავე, მოკლე-მოკლე ცნობებს ქართველი მეფეების შესახებაც იძლევა მე-4 საუკუნიდან ქრ. წინ თითქმის მე-7 საუკუნემდე ქრ. შემდეგ. ეს ქრონიკა შეუდგენია ვილაც გრი-



გოლ დიკონს, რომელსაც, მისივე სიტყვით, ხელმწიფე სხვადასხვა უფრო ვრცელი ქრონიკა ჰქონია. მკვლევართა აზრით მს. ქრონიკის პირველი ნაწილი მე-7 საუკუნეში უნდა იყოს შედგენილი ქრ. შემდეგ. მე-10 საუკუნეში კი იგი მხოლოდ გადმოუწერიათ და შეუფესიათ.

გ) „წმიდა მამათა ცხოვრებასთან“ ერთად ქართველებმა „მეფეთა ცხოვრების“ აღწერაც დაიწყეს. ძველი მეფეების ცხოვრება (მაგალ. ფარნავაზისა, მირიანისა, ვახტანგ I-ლისა) ქრონიკებისა და ზეპირგადმოცემის მიხედვით შეუდგენიათ; ახალი დროის მეფეებისა კი უმეტესათ თავ-თავის დროს აღგენდნენ. შემდეგ ეს, ცალკე შედგენილი, „ცხოვრებანი“ ერთ წიგნად შეუკრებიათ და ამგვართ წარმომდგარა „ქართველთა მეფეთა ცხოვრება“ ან შემოკლებით „ქართლის ცხოვრება“. ეს არის ქართველთა მატრიანე, რომელშიაც უმთავრესათ მეფეების თავგადასავალია მოთხრობილი. „ქართლის ცხოვრება“ ორ ნაწილად განიყოფა. პირველი ნაწილი მოგვითხრობს ქართველთა მეფეთა და მმართველთა თავგადასავალს ქართლოსიდან (ქართველების ზღაპრული წინაპრიდან) დაწყებული მე-X საუკუნემდე ქრ. შემდეგ. ეს ნაწილი პირველათ დაბეჭდა და ფრანგულათა ც გადათარგმნა წარსულ საუკუნეში ფრანგმა მეცნიერმა მარი ბროსემ. ბროსეს შემდეგ აღმოჩნდა ამავე ნაწილის ერთი ძველი ხელნაწერი, რომელიც მე-17 საუკუნეში გადაუწერიათ ქართლის დედოფლის მარიამისათვის. ამის გამო ამ ხელნაწერს „მარიამის ვარიანტი“ დაარქვეს. დღეს ეს ვარიანტიც გამოცემულია **ექვთიმე თაყაიშვილის** რედაქტორობით. — „ქართლის ცხოვრების“ მეორე ნაწილი შეკრიბა და ქართულათ დაბეჭდა წარსულ საუკუნეში პროფესორმა **დავით ჩუბინაშვილმა**, ხოლო ფრანგულათ სთარგმნა და შენიშვნები დაურთო იმავე მარი ბროსემ. ამ ნაწილში მოთხრობილია ქართველ მეფეთა ცხოვრება მე-15—18 საუკუნეში.

დ) ფრიად ძვირფას საისტორიო მასალას წარმოადგენს ქართველ მეფეთა და კათალიკოზთა „სამართალი“, ე. ი. საერო და საეკლესიო კანონები. უძველესი მათგანი ეკუთ

ენის მე-12 საუკუნის დასაწყისს ქრ. შემდეგ (რუს-სლავების
სის საეკლესიო კრების დადგენილებანი), ხოლო უფრო ადრე
ვახტანგ VI-ის კანონებია (მე-18 საუკუნის პირველ მეოთხედ-
ში). ქართული „სამართლის წიგნი“ უკვე რუსულათ გადაი-
თარგმნა და ორჯერაც დაიბეჭდა, ქართულათ კი დღემდე
(რუს-სლავების კრების დადგენილებათა გარდა) არც ერთის
მეფისა და კათალიკოზის „სამართალი“ არ დაბეჭდილა; ხელ-
ნაწერებად კი ბლომათ მოგვეპოვება.

ე) დასასრულ, მეტათ ძვირფას საისტორიო წყაროთ უნ-
და ჩაითვალოს: 1) ეგრეთ წოდებული **სიგელ-გუჯრები**,
2) ყოველგვარი **მიწერ-მოწერა** ქართველ მეფეთა და მათ ქვე-
შევრდომთა შორის ან უცხოეთის მეფეებთან და 3) ტაძარ-
მონასტრების ან ძველი ფულების **წარწერანი** და ძველ წიგ-
ნებზე **მინაწერება**.

უუძველესი ქართული წარწერა, რომელსაც საქრისტიანო
დროიდან ჩვენამდე მოუღწევია, მე-9 საუკუნეს ეკუთვნის
(მეფის გურგენის ფული, ხუცურის წარწერით); ხოლო
უუძველესი გუჯარი მე-11 საუკუნიდან შენახულა (ბაგრატ IV-ის
გუჯარი ოპიზისა და მიჯნაძორის მონასტრებისადმი). შინაარ-
სით სიგელი და გუჯარი—მეფეებისა და კათალიკოზ-ერისთა-
ვების წყალობას წიგნებს წარმოადგენს. ძველათ ეს წიგნები
გრძელ და წვრილ ტყავზე იწერებოდა. შემდეგში კი ქალა-
ღზე დაუწყეს წერა.

ამ დარგის საისტორიო წყაროების ბეჭდვა დაიწყო წარ-
სულ საუკუნეში ზემოთ დასახელებულმა ფრანგმა მეცნიერმა
მარი ბროსემ, განაგრძეს: დიმიტრი ბაქრაძემ, პროფესორმა
აღ. ცაგარელმა, დ. ფურცელაძემ და თევდორე ჟორდანიამ,
ხოლო დღეს მუშაობს ე. თაყაიშვილი.

ასეთია საქართველოს ისტორიის უმთავრესი მწერლობი-
თი წყაროები. საზოგადოთ კი საისტორიო მასალად გამოდ-
გება ყველაფერი, რაც ქართულ ენაზე მოგვეპოვება და ქარ-
თველ ხალხთან და საქართველოსთან რაიმე კავშირი აქვს. მა-
გრამ ამ მასალას ექნება მხოლოდ მისახმარი, მეორე-ხარისხო-
ვანი მნიშვნელობა. ზემო აღნიშნული მწერლობითი წყარო-
ები კი—პირველ-ხარისხოვანი საისტორიო წყაროებია.



კითხვაში გასაჩივრებლად. რამდენი გვარისაა საქართველოში ისტორიის წყაროები? რასა ჰქვია ნივთიერი ნაშთი? რომელი მეცნიერება იკვლევს ამ ნაშთებს? რას ვტყობილობთ არქეოლოგიის შემწეობით? განმარტეთ ხეთურისა და ვანური წარწერების მნიშვნელობა.

რა არის ზეპირ-სიტყვაობა? რამდენათ სანდოა ეს წყარო? რა და რა ენაზე მოგვეპოება ზეპირთქმულებანი ჩვენი ერის წარსულის შესახებ? რა მნიშვნელობა აქვს ენას, როგორც საისტორიო წყაროს?

რამდენგვარია მწერლობითი წყაროები? რომელ მეზობელ ერებს და-უტოვებიათ ჩვენს შესახებ უფრო საყურადღებო ცნობები?—ჰქონიათ თუ არა ქართველებს თავის ენაზე საისტორიო თხზულებანი ქრისტიანობის მიღებამდე? რა დროიდან მოაღწია ჩვენამდე ქართულმა საისტორიო მწერლობამ? რა არის „მამათა ცხოვრება“? როგორ წარმოადგა იგი?—რას წარმოადგენს ქრონიკა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“? როდის შეუდგენიათ იგი?—რა არის „ქართველ მეფეთა ცხოვრება“ ან მოკლეთ „ქართლის-ცხოვრება“? რამდენ ნაწილად განიყოფა იგი?—რა არის „სამართლის წიგნი“? რომელ საუკუნეს ეკუთვნის უძველესი ქართული წარწერა?—რა არის სიგელი და გუჯარი? რომელი საუკუნიდან მოაწია ჩვენამდე უძველესმა ქართულმა გუჯარმა?—ვის უწოდებია დღემდე ქართული მწერლობითი საისტორიო წყაროების გამოსაცემად?

უუძველესი ისტორია.

I

პერიოდის განსაზღვრა და ქართველების მიწა-წყალი.

საქართველოს „უუძველეს ისტორიას“ იმ ხანას ვეძახით, რომელსაც უხსოვარი დროიდან მცხეთის მხარეში საკმაო ძლიერი სამეფოს დაარსებამდე გაუვლია. ეს პერიოდი თავდება 330 წლის მახლობლათ ქრისტეს წინ. მთელი ის მიწა-წყალი, რომელზედაც ამ პერიოდის განმავლობაში ქართველ ტომებს ადგილ-გამოცვლით უცხოვრიათ, ოთხ ზღვას შუა მდებარეობს. ეს ზღვებია: **შავი ზღვა, კასპისა, სპარსეთისა და ხმელთა-შუა ზღვა.** ამ ზღვებს შემდეგი მდინარეები ეროვის: ტიგრი და ეფრათი (სპარსეთის ზღვას); დალისი, ქოროზი. რიონი და ენგური (შავ ზღვას); მტკვარი და არაქსი (კასპის ზღვას). ამ მდინარეთა აუზებში უცხოვრიათ სხვა და სხვა დროს ჩვენს წინაპრებს. სახელდობრ: უუძველესი მათი სამკვიდრებელი **ქალდუ** და **შუამდინარე** (მესოპოტამია) ყოფილა. ე. ი. ტაგრ-ფურატის ვაკეები; შემდეგ—**კაპადოკია** (დალისის აუზი) და **ნაირ-ურართუ**, ე. ი. ვანის ტბისა და არარატის არე-მარე; ბოლოს კი—**ამიერ კავკასია**, ანუ ქოროზ-რიონ-ენგურისა და მტკვარ-არაქსის აუზები.

კითხვები განსამოკლებლად. რა დროიდან იწყება და როდის თავდება საქართველოს უუძველესი ისტორია? რომელ ზღვებს შორის მდებარეობდა ქართველების მაშინდელი მიწა-წყალი? უჩვენეთ ქარტაზე (და, თუ შეიძლება, კიდევ დახატეთ) ეს ზღვები და მდინარეები, რომელთა აუზებშიაც ქართველებს სხვა და სხვა დროს უცხოვრიათ.

II

ქართველები ქალდუსა და შუამდინარეში.

1. **ქართველების პირვანდელი სამშობლო.** თავდაპირველათ ქართველებს **ქალდუს** ქვეყანაში უცხოვრიათ. სხვანაირათ რომ ვთქვათ, ქალდუ ქართველების პირვანდელი სამ-



შობლოა. ამ ქვეყანას თვით ქართველები და ზოგიერთი ზობლებიც „ქარდუ“-ს ეძახდნენ. ალბათ აქედან უნდა წარმომდგარიყო ჩვენი ხალხის სახელი „ქართული“ (მეგრულათ -ქართუ“), იგივე „ქარდუელი“, ე. ი. ქარდუს მცხოვრები, ქარდუდან გამოსული. ამ ქვეყნის ჰავა მეტათ ცხელია; წვიმა იქ თითქმის არასოდეს არ მოდის; მაგრამ წვიმის მაგიერობას მდ. ეფრათი ასრულებს; რომელიც ყოველ წლივ გადმოდის ხოლმე ნაპირებზე და უხვათ რწყავს სიციხისაგან გადამხმარს არემარეს. ძველი მწერლების მოწმობით, ეს მხარე მეტათ ნაყოფიერი იყო; საპურე მცენარე აქ ერთი ორასად და ერთი სამასად აჯილდოებდა მიწის-მუშას. პურისა და ქერის ფოთლები ზოგჯერ ოთხი თითის სიგანე იზრდებოდა. მართალია, ქალღუში ხეები ნაკლებად იცოდა, მაგრამ აქ იზრდებოდა ფინიკის ხე, რომლის ნაყოფსაც მცხოვრებლები საზრდოდ მხარობდნენ; ზოგჯერ მისგან სასწელსაც იმზადებდნენ. ამგვართ განთქმული იყო ქალღუს ქვეყანა თავისი ბუნებრივი სიმდიდრით; ამიტომ იმ თავითვე მრავალ ხალხს იზიდავდა. ჩვენი წინაპრები ამ ქვეყნიდან სემიტური მოღვმის ერებმა გამოდენეს: აქ დაარსდა ძველს ისტორიაში ცნობილი ბაბილონის ძლიერი სახელმწიფო; ქართველები კი იძულებული გახდნენ შუამდინარეში გადმოსახლებულიყვენ. — როდის უცხოვრიათ ქართველებს ქალღუს მხარეში და როდის გადმოსახლებულან იქიდან, ამის შესახებ არავითარი მტკიცე ცნობა არ მოგვეპოება. ვიცით მხოლოთ, რომ 2000 წლის მახლობლათ ქრ. წინ ქართველები უკვე ქალღუს მხარეში აღარ ცხოვრობდნენ, მათი ქვეყანა ბაბილონელებს ეჭირათ. ამას ვვაფიქრებინებს „შამდეგი“ გარემოება: 2000 წლის მახლობლათ ქართველების ერთი ტომი (მიტანნი) შუამდინარეში ცხოვრობდა და აქედან ებრძოდა ბაბილონის მეფეებს. სჩანს, ქალღუდან ქართველების გადმოსახლება 2000 წელზე ადრე დათავებულა. თავისი პირიდანელი სამშობლო მხოლოდ ბრძოლის შემდეგ დაუთმიათ ქართველებს ბიბილონელებისათვის.

2. ქართველები შუამდინარეში. მიტანების სახელმწიფო. შუამდინარეც (მესოპოტამია) ტიგრსა და ეფრატს

== ჯ ე ჯ ი ლ ი ==

საქმეწვილო ნახატებ.ახი ჟურნალი

ოსლა პირველი

წელიწადი.

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლ.

გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებათა პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი „ჯეჯილი“

თბილისში ეღირება 4 მ. ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5. ნახევარი წლით 3 მ.

ცალკე ნომერი 40 კ.

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ: **ქუთაისში** წიგნის მაღაზიას „**იმერეთ**“ს და ბათუმში მ. **კალანდაძეს**.

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузынскаго дѣтскаго журнала „Джелджили“

რედ.—გამომცემელი ან. თუმანიშვილი წერეთლისა.

Открыта подписка на 1910 годъ на газету

„ЗАКАВКАЗЬЕ“

(ГОДЪ ВТОРОЙ)

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой въ Тифлисъ:	Съ пересылкой въ другіе города:
за годъ 6 р. — к.	за годъ 8 р. — ж.
за полгода 309 d к	за полгода 4 р. 50 к.

Помѣсячно повсюду 75 коп. Отдѣльныя №—5 коп. Загра, ницу вдвое. За перемѣну адреса городского на иногородній—1 р., съ иногородняго на иногородній—50 коп.

Адресъ редакціи: Гифлисъ, Эриванская площадь, д Гургенова, общій входъ съ конторой нотаріуса Мгеброва. Редакція открыта отъ 9-ти до 4-хъ час. дня и отъ 7-ми до 8-ми час. вечера. Лично редакторъ принимаетъ отъ 12—1 час. дня.

Редакторъ-Издатель Г. 1. Амираджиби.

დ რ თ ე ბ ა



ქართული
დემოკრატიული
პარტია

1910 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც მდგომარეობის
წელს გამოდიოდა. მომავალ წელს გაზეთი გაუმჯობესებული იქნება
შინაარსით.

უფელ დღიურ გამოცემის გარდა 1910 წელს გაზეთს ექნება

სურათიანი ღამატევა.

ღამატევა გამოვა კვირაში ერთხელ—კვირაობით.

გაზეთის ფასი ღამატევიანა: წლით როგორც ქალაქში ისე
ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან.
10 კპ., ერთი თვით—1 მან.

ცალკე ნომერი უფლებან ერთი შაური. ღამატევიანი ნომერი (კვი-
რისა) 7 კაპეიკი

ვინც 15 იანვრამდე გაზეთს გამოიწერს და სამ მანეთს შემო-
იტანს, იმას მიეცემა კედლის თვიური პატარა

კ ა ლ ე ნ დ ა რ ი 1 9 1 0 წ ლ ი ს ა

ხელის-მოწერა ჯერ-ჯერობით შეიძლება მხოლოდ ტფილისში:

„დროების“ კანტორაში—დიდი ვანქის ქუჩა, № 12; წერა-კითხვის სახე-
ლადების წიგნის მაღაზიაში შ. ქუჩუკაშვილთან—სასხლის ქუჩა, თავად-
აზნ. ქარვასლა; ნაძალადევიში მებურე მელიტონ დოლობერიძესთან—მა-
გისტრალნი ქუჩზე, გრიბოლ ჩარკვიანის სახლში; რკინის გზის მთავარ
სახელოსნოში დანო ტავჭავაძესთან—ტოკარნი ცეხი.

ხელის მოწერათა საშუალებოდ

კანტორა უპირობოდ სთხოვს ახალ ხელის მომწერთ, თუ
ვინიცობა ვერ მოახერხებენ ფულის კანტორაში შეტანას, დამ-
ტარებლებს გადასცენ იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდეს-
საც ეს უკანასკნელნი კვიტანციას წარუდგენენ.

ხელის-მოწერა რედაქციის კანტორაში შეიძლება: დღით 8-დან 3 საათ
თამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакция „Дროება“ И. С. АГЛАДЗЕ.